რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 9 მაისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 91 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 91

გულმოკლული ქვრივი დედა ტასო, ბიცოლა ალათი, ბიძია პავლე, ბიძაშვილები: ლავრენტი, მართა, პასიკო და ვალერია წურქავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, კვირას 12 მაის ს. გეჯეთში (სენაკის მაზრა) მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირთასი და დაუვიწყარი

ზოია (ზინა) ფილიპეს ასულის წურქავას

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ქ. ფოთში, ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი კვირას 12 მაისს ძვირფასი ბიძაშვილის

ზოია (ზინა) ფილიპეს ასულის წურქავას

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ქვრივი ნადია, გიორგი, ვალიკო და დათო წურქავები, ეფროსინე და გრიშა თუთბერიძეები. (1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ირინე, რძალი პელაგია, ძმისწულები ნადია, ნინა, ანტონი, ვასილი, ალექსანდრე და სერგო ქორქოლიანები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ქ. ოზურგეთში შემოჭრილი მტრის მიერ ვერაგულათ მოკლულ იქმნა თავის სახლში პირველის დაუვიწყარი ქმარი, მეორეს ძვირფასი მაზლი და დანარჩენთა დაუფასებელი და საყვარელი ბიძა მოხუცი

კონსტანტინე გიორგის ძე ქორქოლიანი.

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები მღვდელი სოკრატ და ეკატერინე, ძმები დავით, ანდრია და გრიგოლ, ქმარი ხორენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას, პირველნი საყვარელი შვილისას, მეორენი დაუვიწყარი დის და მესამე ძვირფასი მეუღლისას

ელენე სულიაშვილი-ოგანეზოვისას

დაკრძალვა მოხდება ქ. სურამში პარასკევს. ფერისცვალების ეკლესიაში. (2—1)

ღრმათ დამწუხრებული მშობლები მღვდელი სილიბისტრო და სერმილო, ძმები: მღვდელი ეპიფანე, არონ, აფთონ და ანტონ, ძმის შვილები: გიორგი, შალვა და ნოე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მიცვალებულის ამხანაგებს, რომ ჯავშნიან მატარებელზე, № 4, ტრაღიკულათ დაღუპული ძვირფასი

პეტრე ჩხაიძის

სულის მოსახსენებლათ ორმოცის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია მაისის 11, შაბათს, აცანის (გურია) ოქონის ეკლესიაში. (2—1)

ანაკლიის კოლექტივი და ზუგდიდის კომიტეტი სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიისა აუწყებენ ამხანაგებს დაუღალავი მუშაკის ანაკლიის კოლექტივის წევრის ამხანაგის

ბაგრატ ახალაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 11 მაისს შუადღის ორ საათ.

ნინა ივანეს ასული და გიგო ივანეს ძე კერესელიძენი, შვილები მათი ვახტანგი და არჩილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას პირველნი ძვირფასი დის და მეუღლის დის, და მეორენი დეიდის

თინიკო ჯაფარიძის

ასულისას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ელისაბედის ქუჩ. № 126 26 აპრილს (9 მაის) დილის 9 ნახ. ს. წირვა და დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

ლიდა ივანეს ასული და კონსტანტინე დიმიტრის ძე მიქელაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს უდროოთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარი დის და მეორე მეუღლის დის

თინიკო ჯაფარიძის

ასულისას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ელისაბედის ქუჩა № 126, 26 აპრილს (9 მაის) დილის 9 ნახ. საათზე. წირვა და დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

ივანე (ვანო) სოლომონის ძე ჯაფარიძე და მისი შვილები: პაშა, დიმიტრი და შალვა ღრმათ დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელ ქალიშვილისას და მეორენი ძვირფასი დის

თ ი ნ ი კ ო ს

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე სალ. 7 ს. საკუთარ ბინაზე—ელისაბედის ქუჩა № 126. გამოსვენება ხუთშაბათს 26 აპრილს (9 მაის) დილის 9 ნახ. ს. წირვა და დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ტ რ ა მ ვ ა ი

აუწყებს ქალ. თფილისის მოქალაქეებს, რომ ყველა ბილეთები ტრამვაით უფასოთ სამოგზაუროთ იძლევა ტრამვაის დირექციისაგან ქალაქის გამგეობის ნებართვით და ის მოწმობები, რომლებიც ეხლა აქვთ მიცემული სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან გაუქმებულია და ჩამოერთმევათ კონდუქტორებისა და კანტროლიორების მიერ. (1—1)

## საზავო მოლაპარაკება

საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან კვლავ განახლდა. ამ ჟამათ ის ტრაპიზონის ნაცვლათ ბათუმში სწარმოებს. ადგილს გარდა შეიცვალა აგრეთვე ძალთა განწყობილებაც. იმ დროს, როცა პირველი საზავო მოლაპარაკება სწარმოებდა ტრაპიზონში, ძალთა განწყობილება ისეთი არ იყო, როგორც დღეს. მაშინ ჩვენ შედარებით უკეთეს სტრატეგიულ პირობებში ვიმყოფებოდით, რადგან ჩვენს ხელში იყო ბათუმის და ყარსის სიმაგრეები მრავალ სამხედრო იარაღით და სურსათით და ამიერ კავკასიის ერების საერთო ნებაც ქვეყნის მთლიანობას უჭერდა მხარს, რაც სეიმმა არა ერთხელ დაადასტურა თავისი დადგენილებებით.

მაგრამ მალე გამოაშკარავდა, რომ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ერთი კარგა საგრძნობი ნაწილი ოსმალეთის ორიენტაციას გადაჰრით ადგია. ამ ხალხს გვერდში ამოუდგა რუს-ქართველ-სომეხთა და სხვადასხვა ტომთა ის ნაწილი, რომელიც ძველ. წყობილების აღდგენას ეტრფის და ყველა ამათ ბოლშევიკებთან ერთად საკმაოთ ძლიერი ლაშქარი შექმნეს ჩვენი წყობილების წინააღმდეგ, რამაც ბათუმის დაცემას ნიადაგი მოუმზადა და ყარსის ნებით დათმობა გამოიწვია.

ამ რიგათ ჩვენ უძლურნი გამოვდექით ბოლშევიკების მიერ ბრესტში შეკრულ სამარცხვინო ზავის დამღუპველი შედეგები მოგვესპო და ძლიერი ამიერ-კავკასია უზრუნველ გვეყო. ამიტომ ბათუმის საზავო მოლაპარაკება ბრესტის ხელშეკრულობის ნიადაგზე სწარმოებს და ამ ხელშეკრულობის ჩარჩოებშია მომწყვდეული. გარდა ამისა ოსმალეთის ჯარი საქართველოს გულშია შემოჭრილი, მას გურიის ნაწილი უჭირავს, რადგან დროებითი შერიგების ჩამოგდებამდე ჩვენ ვერ მოვასწარით დაგვემთავრებია ის ოპერაცია, რომელსაც ოზურგეთის მაზრის გაწმენდა ქონდა მიზნათ დასახული. ცხადია, ოსმალეთი ეცდება გამოიყენოს მის სასარგებლოთ შექმნილი მდგომარეობა და საზავო მოლაპარაკების დროს უფრო ულმობელი იქნება, ვინემ ეს ზოგიერთ გულუბრიყვილოს გონია. ეს მით უფრო საფიქრებელი და მოსალოდნელია, რომ შინ მრავალმა ხალხის მტერმა იჩინა თავი: ჩვენ ვამბობთ ბაქოს, სოხუმის და ახალციხის ამბებზე. ბაქოში და სოხუმში ბოლშევიკები მუშაობენ და თავის გარშემო კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს იკრებენ, თუმცა სოციალისტურ დროშის ქვეშ მოქმედებენ. ახალციხის მაზრაში ნამდვილი ომია გაჩაღებული: გვებრძვიან ჩვენი „ძმები“, ახალციხის მაზრის გამაჰმადიანებული ქართველები. ესენი ეშკარათ და გარკვევით არ ამჟღავნებენ თავის სურვილებს, მაგრამ სამხედრო წესით ბორჯომისკენ მოიწევენ და აქედან ძნელი არ არის შესაფერი დასკვნის გამოყვანა: მათ სურთ მთელი ახალციხის მაზრა და გორის მაზრის ნაწილი ბორჯომის ძვირფას მამულებით ხელში ჩაიგდონ და საზავო მოლაპარაკების დროს უკვე მომხდარ ფაქტის წინაშე დაგვაყენონ. ოსმალეთი ოფიციალურათ, რასაკვირველია, ახალციხის ამბებში არ ერევა, მაგრამ, თუ „შინაურებმა“ აქ დაგვამარცხეს, ის იძულებული გახდება „წესიერება“ დაამყაროს და „სამართლიანობას“ გამოესარჩლოს, ე. ი. ბათუმყარს არტაანის ოლქებს, რომლებიც მათ ბოლშევიკებმა დაუთმეს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიც ზედ მიაყოლოს.

ვიმეორებთ, ამ მხრით ერთობ მძიმე და უნუგეშო პირობებში სწარმოებს ბათუმის საზავო მოლაპარაკება. მაგრამ დღეს ერთი უპირატესობა გვაქვს ისეთი, რომელსაც ტრაპიზონის მოლაპარაკების დროს მოკლებული ვიყავით: ეს უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ხალხს დღეს კარგათ აქვს წარმოდგენილი, თუ რას ნიშნავს შეიარაღებულ ძალის უქონლობა და მტრისათვის უბრძოლველათ კარების გაღება. მართალია, ხალხის გაძარცვა-დარბევაში ადგილობრივმა ნაძირალებმაც მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ ეს სულ ერთია: სწორეთ მტრის შემოსვლამ მისცა საშუალება როგორც მოსულთ, ისე შინაურ ნაძირალებს ხალხის სარჩო-საბადებელი დაეტაცნათ და ამრიგათ არ გამართლდა ბოლშევიკ აგიტატორების ქადაგება, მობილიზაციის წინააღმდეგ მიმართული—ოსმალეთთან ომი იმპერიალისტების საქმეა, ოსმალეთის მოსვლით ბურჟუები დაზარალდებიანო.

ამ ნაირათ, ძლიერი ჯარის შექმნა დღიურ წეს-რიგშია დასმული და მისი მნიშვნელობის გაქარწყლება არავითარ დემაგოგიურ ფრაზებით არ შეიძლება. მართალია, ჩვენ უძლურნი ვართ საერთაშორისო ურთიერთობაში, ჩვენ ვერ შევცვლით საერთაშორისო მდგომარეობას იმ დროს, როცა გერმანია და მისი მოკავშირენი რკინის სალტესავით გვარტყმიან გარს, მაგრამ ჩვენი ფიზიკური არსებობის შერჩენა და წესიერების დამყარება იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკას შერჩა, აუცილებელიც არის და შესაძლებელი.

ამიტომ მთელი ჩვენი ძალ-ღონე, მთელი ენერგია ამ ჟამათ სამხედრო ძალის შექმნას უნდა მოვახმაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში საშინელი მონობის უღელი მოგველის.

## პ რ ე ს ა

ეროვნულ-დემოკრატების ორგანო „საქართველო“-ს ვერ მოუნელებია ის, რომ ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებას სოციალისტები უდგანან სათავეში. მას არც ის მოსწონს, რომ საზავო მოლაპარაკებას ოსმალეთთან ჩხენკელი აწარმოებს და ამ საზავო მოლაპარაკების გამო ასეთს მარგალიტებს მიუძღვნის თავის მკითხველებს:

„რესპუბლიკის დელეგაციას სოციალისტური დემოკრატიის წარმომადგენლები უხელმძღვანელებენ. ოსმალეთის მხრივ, პირიქით, ზომიერ ლიბერალური ან უკეთ ვსთქვათ ზომიერ კონსერვატიული აზროვნების სახელმწიფო მოღვაწეები მოვლენ. ეს იქნება გამობრძმედილ ოსტატების შეხვედრა უმწეო დილეტანტებთან. და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი იმპროვიზაციული დიპლომატები რავდენიმე საგნობრივ გაკვეთილს კიდევ მიიღებენ როგორც საერთაშორისო უფლების მეცნიერებისა, ისე დიპლომატიური ხელოვნების დარგიდან“.

რის თქმა სურს „საქართველოს“ ამ ლაყბობით? საიდან გაიგო მან, რომ ოსმალეთის დელეგატები მეცნიერები არიან, ხოლო ჩვენი დელეგატები უმწეო დილეტანტები? „საქართველომ“ კარგათ იცის, თუ რა „მეცნიერებიც“ ბრძანდებიან ოსმალეთის დელეგატები, მაგრამ მას ეს არ აწუხებს, ის ცდილობს დაარწმუნოს ხალხი, ვითომ ბათუმ-ყარსის დაკარგვა სოციალისტების ბრალი იყოს. მაგრამ არა გვგონია, ხალხმა მას დაუჯეროს, რადგან ვინ არ იცის, რომ ეროვნული დემოკრატები სიხარულით მოელიან იმ დღეს, როცა ჩვენში რევოლიუცია დამარცხდება, თუნდაც ამ დამარცხებას ოსმალეთის ბატონობა მოჰყვეს? „საქართველო“ თითონაც ვერ მალავს თავის რეაქციონურ სულისკვეთებას. აი რას გვაბრალებს ის ჩვენ:

„მათი წყალობით აიწეწა აგრარული ურთიერთობა, სახელმწიფო ფინანსები, სასურსათო საქმე. ბათუმის დამარცხებაში საბოლოოდ დადასტურდა რევოლიუციური დემოკრატიის მორალური და პოლიტიკური გაკოტრება“.

ვინ იტყვის იმას, სოც.-დემოკრატებმა აგრარული ურთიერთობა აწეწესო? განა ჩვენ არ ვებრძვით ყოველგვარ უწესოებას და მსხვერპლათ არ ეწირებიან ანარქიასთან ბრძოლას ჩვენი საუკეთესო ამხანაგები? „საქართველომ“ ეს კარგათ იცის, მაგრამ მას ვერ მოუნელებია მემამულეებისათვის მიწების ჩამორთმევა. ხალხიც კარგათ არჩევს მტრებს მოყვრებისაგან და თუ მას დღეს ძალა არ შესწევს გარეშე მტერს გაუმკლავდეს, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ხალხი შეურიგდება მათ, ვინც მონობის უღლის დადგმას მოუნდომებს.

ფრთხილათ, ბატონებო!

## საზავო მოლაპარაკება

6 მაისს ღამის საგანგებო მატარებლით ბათუმს გაემგზავრა ჩვენი საზავო დელეგაცია. დელეგაციის თავმჯდომარეა ა. ი. ჩხენკელი, წევრები: მაჰმედ ჰასან გაჯინსკი, ნ. ი. ნიკოლაძე, რ. ი. კაჩაზნუნი, ა. ი. ხატისოვი, მამედ-ემინ რასულ-ზადე. დელეგაციას თან ახლავს უწყებათა წარმომადგენლები, რომელთა შორის არიან გენერალი ი. ზ. ოდიშელიძე, პოლკოვნიკი გ. გ. ყორღანოვი, პროფესორები ი. ს. ღამბაროვი და ზ. ნ. ავალოვი, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსაგან არიან გ. დ. ჟურული და ქიქოძე. დელეგაციის საქმეთა მმართველია გოზდავა-სოკოლოვსკი. ოსმალეთის დელეგაციას ვეხიბ-ფაშის თავმჯდომარეობით გუშინვე ე. ი. 6 მაისს მოელოდენ ბათუმში.

—

ტრაპიზონიდან ვეხიბ-ფაშისაგან 6 მაისს შემდეგი დეპეშა მოვიდა თფილისში: „მინისტრთა-თავმჯდომარეს და გარეშე საქმეთა მინისტრს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკისას ჩხენკელს და დროებითი სამხედრო მინისტრს გენ. ოდიშელიძეს. 29 აპრილს 1918 წელს გამოგზავნილ ჩემი წერილის დამატებათ გაუწყებთ ოსმალეთის ჯარების ვიცე-გენერალისიმუსის ცნობას, რომ ის ტერიტორია, რომელიც ამ ჟამათ ოსმალთა ჯარებს უჭირავთ ოზურგეთის რაიონში, 1877—78 წლების რუსეთ-ოსმალეთის საზღვარს იქით, დაცლილი იქნება და დაუბრუნდება ამიერ-კავკასიის მთავრობას მას შემდეგ, როცა ბათუმის საზავო მოლაპარაკება კეთილ შედეგს მოიტანს“.

—

ა. ი. ჩხენკელმა ქუთაისის გუბერნიის კომისარს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „როგორც გავიგე, მცხოვრებლების პანიკა ქ. ოზურგეთში ღებულობს დაუშვებელ ხასიათს: ყველა მცხოვრებლები ოზურგეთში და მისს რაიონებში ტოვებენ თავის სახლ-კარს და გარბიან. ასეთი სამწუხარო შემთხვევები სრულიადაც არ შეესაბამება როგორც სამხედრო მდგომარეობას, ისე ხალხის ინტერესებს. უნდა მიიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა დაარწმუნოთ მცხოვრებლები, რომ ოსმალები მშვიდობიან მცხოვრებლებს არ ხოცავენ და არავითარ ძალდატანებას არ ხმარობენ, თუ თვით მცხოვრებლები თავის მოქმედებით არ მისცემენ ამის მიზეზს. ოსმალების მთავარ სარდლისაგან მაქვს ოფიციალური დამამტკიცებელი საბუთი იმის, რომ ისინი მცხოვრებლების ინტერესებს დაიცავენ და პატივისცემით მოეპყრობიან მათ. პირიქით, ის დაჟინებით მოითხოვს, რომ აცნობონ მცხოვრებლებს, რათა დაუბრუნდენ თავიანთ კერას. იცოდენ, რომ უპატრონოთ დარჩენილ ქონებას შეუძლია მრავალი შეაცდინოს და გაამეორებიოს ბათუმის ამბები, რომელთაც დასტოვეს ყოველივე და ოჯახებიდან გარბოდენ. სამხედრო მოქმედება მართალია იწვევს მრავალ სირთულეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს ჩვენ სულმოკლეობას. მთავრობის მიერ უკვე ამ დღეებში გადმოიგზავნება თანხა გადმოხვეწილთა დასახმარებლად, მაგრამ ეს დახმარება უნუგეშო იქნება იმასთან შედარებით, რასაც მე ურჩევ ე. ი. დაუბრუნდენ თავიანთ კერას“. გუბერნიის კომისარმა დეპეშის შინაარსი დაუგზავნა ჩოხატაურის, ლანჩხუთის და სამტრედიის რაიონის კომისარებს.

## მთავრობის განმარტება

ჩვენს ფრონტზე უკანასკნელ ხანებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიის მთავრობას საშუალება აქვს შემდეგი განმარტოს: მეორე დღესვე ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაციის განცხადებისა ტრაპიზონში, რომ ის ღებულობს ბრესტ-ლიტოვის ხელშეკრულობას ე. ი. 29 მარტს (11 აპრილს) კავკასიის ფრონტის ოსმალთა ჯარების სარდალმა ფერიკ-ვეხიბ-მეხმედ ფაშამ დეპეშა გაუგზავნა ბათუმის ციხის კომენდანტს, რომ მან გასცა ბრძანება ბათუმის წინააღმდეგ ბრძოლა შეეჩერებია ოსმალთა ჯარებს და ამასთანავე სთხოვა კომენდანტს შეეჩერებია ბათუმიდან ზარბაზნების სროლა და თუ ვინიცობაა 11 აპრილის საღამოს 6 საათამდე არ იქნება შეჩერებული სროლა სამხედრო მოქმედება გაგრძელდებაო. თავის მხრით ამიერ-კავკასიის დელეგაციის თავმჯდომარემ ა. ი. ჩხენკელმაც სთხოვა კომენდანტს შეეჩერებია სროლა. კანტი-კუნტი სროლა ორივეს მხრით მიუხედავათ ამისა მაინც გაგრძელდა რამდენიმე ხნით.

30 მარტს (12 აპრილს) ჩვენი ჯარების უფროსს ოსმალებმა ულტიმატუმი წამოუყენეს, სადაც აღნიშნავდენ, რომ ვინაიდან ბრესტ-ლიტოვის ხელშეკრულობის თანახმად ბათუმი უნდა დაიცალოს და ჩვენი ჯარებიც უნდა გადმოსულიყვნენ 1877 საზღვარზე, ამიტომ ის ფორტები, რომლებიც ბათუმს აქვს შემოვლებული მთელი სამხედრო მასალებით რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა დაიკავონ ოსმალთა ჯარებმაო. ამიტომ ოსმალთა ჯარების უფროსი წინადადებას იძლეოდა გამაგრებული ადგილები ჩვენს ჯარებს დაეცალა 31 მარტს (13 აპრილს) ნაშუადღევს 4 საათამდე. თუ ეს ასე არ იქნება შესრულებული ციხეზე იერიშით მოვდივართო. საპასუხოთ ვადა იყო მოცემული 31 მარტის (13 აპრილის) შუადღის 12 საათამდე.

ამასთან ერთათ 31 მარტს (13 აპრილს) დელეგაციის თავმჯდომარემ ა. ი. ჩხენკელმა ორჯერ აცნობა ბათუმში დეპეშით შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ფორტების თვისი ნებით დაცლა მას მიაჩნია აუცილებლათ მთელი რიგი სერიოზული მოსაზრებების გამო. ბათუმის ციხის კომენდანტმა მიიღო რა ულტიმატუმი სთხოვა ოსმალთა ჯარების უფროსს გაეგრძელებია ვადა 24 საათით, ვინაიდან მას საშუალება არ ჰქონდა თფილისიდან შესაფერი განკარგულება მიეღო. ვეხიბ ფაშამ ამაზე უარი უთხრა და ბათუმიც იარაღით აიღო ოსმალთა ჯარებმა 1 აპრილს ღამით, მას შემდეგ, რაც ფაქტიურათ დაახლოვებით 48 საათით იყო შეწყვეტილი სამხედრო მოქმედება.

31 მარტს (13 აპრილს) ღამით ამიერ-კავკასიის დელეგაცია მთავრობამ გაიწვია და 1 აპრილს დელეგაციაც გაემგზავრა თფილისში. ამის შემდეგ სამხედრო მოქმედება გაგრძელდა როგორც შავი ზღვის პირის რაიონში, აგრეთვე მეტის ინტენსივობით ყარსის ციხის გარშემო, რაიც ოსმალთა ჯარების უფროსმა ა. ი. ჩხენკელს აცნობა 9 აპრილს (22) დეპეშით, სამხედრო მოქმედება იმიტომ განვაახლეთ, რომ „ამიერ-კავკასიის დელეგაციამ საზავო მოლაპარაკება შესწყვიტაო“. 10 (23) აპრილს, ვინაიდან წინა დღით სეიმმა დაადგინა, რომ ოსმალებთან საზავო მოლაპარაკება განახლებულიყო, მინისტრთა თავმჯდომარემ ა. ი. ჩხენკელმა ახალი კაბინეტის შედგენამდე წინადადება მისცა ოსმალთა ჯარების უფროსს 10 აპრილის საღამოს 5 საათიდან მთელს ფრონტზე შეეჩერებიათ სამხედრო მოქმედება. ამასთანავე ა. ი. ჩხენკელმა აცნობა ოსმალეთს, რომ ამიერ-კავკასია გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთო.

11 (24) აპრილს მინისტრთა თავმჯდომარემ გაიგო საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის გენერ. ვიშინსკის ცნობით 6 გენ. ოდიშელიძისადმი ის პირობები, რომლის თანახმად ოსმალები მოითხოვდენ ყარსთან ბრძოლის შეჩერებას. ვიშინსკის დეპეშის თანახმად, როგორც აღნიშნული იყო ყარსის ფრონტის ოსმალთა ჯარების უფროსის წერილში გენ. ვიშინსკისადმი შემდეგში მდგომარეობდა: **ჩვენ ჯარებს უნდა დაეხიათ ყარსისკენ და უნდა გაჩერებულიყვნენ ორი ორი ვერსის მოშორებით ფორტების წინ** და ჩვენს ჯარს სროლა არ უნდა აეტეხა, როცა ოსმალთა ჯარები მოვიდოდენ, რომელთაც 11 (24) აპრილს უნდა დაეკავებიათ ზემო-აღნიშნული ხაზი.

ამ ცნობის მიღებისთანავე მინისტრთა თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ ბრძანება გასცა მიეღოთ ოსმალების პირობები და შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედება, რაიც კიდეც ეცნობა სომეხთა კორპუსის უფროსს გენ. ნაზარბეკოვს. ამ განკარგულებასთან ერთად ვეხიბ ფაშის დეპეშა მოვიდა იმავე დღეს, სადაც იტყობინებოდა: ოსმალებმა შეაჩერეს სამხედრო მოქმედება ციხიდან ორი კილომეტრის მანძილზეო.

11 (22) აპრილსავე გენ. ნაზარბეკოვს ებრძანა არა უგვიანეს ღამის 12 საათისა 11 აპრილს ოსმალებთან გაეგზავნა მას პარლამენტიორები, რომ განესაზღვრათ დრო და პირობები ყარსის დაცლისა, ამასთანავე ის უნდა ცდილიყო რაც შეიძლება მეტი დრო გამოეთხოვა ამ საქმისათვის და საკითხის საბოლოოთ გადასაწყვეტათ დრო მიეცა მისთვის მთავრობას შეჰკითხებოდა. ვეხიბ-ფაშას ამასთან ერთათ მინისტრთა თავმჯდომარემ დროებით სამხედრო მინისტრმა

ოდიშელიძემ დეპეშით აცნობეს, რომ ყარსის ოლქის დასაცლელათ ჩვენი ჯარებისაგან საჭიროა 7 დღის ვადაო, რომ ჯარებმა შესძლონ დამშვიდებით დახევა, რომ ჩვენი ჯარების მიერ ფორტების დასაცლელათ საჭიროა ორი-სამი დღე-ღამე და არა ერთი, როგორც მოითხოვენ ოსმალებიო და ყარსის დასაცლელათ და იქიდან ქონების გამოსატანათ საჭიროა ერთი თვე და ამასთანავე საჭიროა საშუალება მოგვეცეს აგრეთვე ყარსიდან სახელმწიფო ქონების გამოტანისა. ქრისტიან მცხოვრებლების გამოსაყვანათ რომლებიც სულ ერთიანათ სტოვებდენ ქალაქს საჭირო იყო ორი კვირა. ამ ხნის განმავლობაში რკინის გზის განაპირა ადგილები ჩვენი ჯარების განკარგულებაში უნდა ყოფილიყო. ყარსთან მდგომ ოსმალთა ჯარების უფროსმა 11 აპრილს დილით წერილი გაუგზავნა ჩვენი რაზმის უფროსს ვეხიბფაშის ზემო მოყვანილი პირობებით, რის შესახებაც არაფერი არ იცოდა ციხის კომენდანტმა, არ დაუცადა ამ პირობების ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ დამტკიცებას და შეუდგა მის ცხოვრებაში გატარებას. ციხის კომენდანტს 11 (24) აპრილს ვერ მიუსწრო მთავრობის განკარგულებამ ციხის უბრძოლველათ ოსმალებისთვის გადაცემის შესახებ, მას უნდა მიეღო შესაფერი ზომები, რომ შეეჩერებია ოსმალთა ჯარების შემოტევა საქმის გამორკვევამდე, რასაც შედეგათ მოყვა ჩვენი არტილერიით ოსმალთა ჯარებისთვის ყუმბარების დაშენა, რაც იმ წამსვე შესწყდა, რა რომ ოსმალთა ჯარები შეჩერდენ. ამ გაუგებრობას ხელი შეუწყო აგრეთვე ოსმალთა პირობების გაურკვევლობამ ორი ვერსის მანძილის შესახებ. (ამიერ-კავკასიის ჯარები შორდებოდენ ორი ვერსით ფორტებს თუ ოსმალთა ჯარები უახლოვდებოდენ).

ოსმალების ნაადრევმა შემოტევამ ყარსზე დილით 11 (24) აპრილს ქალაქის მცხოვრებლებში „პანიკა“ შექმნა, რასაც შედეგათ მოყვა ქალაქიდან მცხოვრებლების უთავბოლოდ გაქცევა, ცეცხლის გაჩენა ქალაქში და რამდენიმე ექსცესები. ციხის უბრძოლველად გადაცემის შესახებ კომენდანტმა ბრძანება მიიღო მხოლოდ საღამოს 7 საათზე 11 (24) აპრილს, მაშინ კომენდანტმა ოსმალებს გაუგზავნა პარლამენტიორები და 12 (25) აპრილს დილიდანვე წინასწარი შემუშავებული პირობების თანახმად ჩვენი ჯარების ნაწილებმა კომენდანტის განკარგულების თანახმად დასტოვეს ფორტები, რომლებიც შემდეგ დაიჭირეს ოსმალთა ჯარებმა, რაიც მოხდა ოსმალთა ჯარების უფროსის და ციხის კომენდანტის ურთიერთ შორის შეთანხმებით.

(დასასრული იქნება)

## ბრძოლის ველზე

1 აპრილს თფ. მუშ. და ჯ.-კაც. დეპ. საბჭოს ალმ. კომიტეტის საგანგებო რაზმი ფრონტისაკენ გაემგზავრა.

გზაში მას ხვდებოდა ბათუმიდან დაბრუნებული ჯარისკაცთა ეშელონები, რომლებმაც სამარცხვინოთ დასტოვეს ბათუმი და სახლში გარბოდენ. მეტად დასაღონებელი იყო ეს სურათი რაზმისათვის, მაგრამ ის მიუხედავათ ამისა, სიმღერით განაგრძობდა გზას. ნატანების სადგურთან გაჩერდა რაზმი და 50 კაცი გაგზავნა „პოსტებზე“, რომლებიც 6 ვერსით არის დაშორებული ნატანებიდან. რაზმის ჩასვლამდე აქ არავითარი ჯარი არ იყო. ყველა პოლკები ბათუმის დაცემის შემდეგ დაიშალა და თავიანთ სახლებში წამოსულიყვნენ. ზოგიერთ ადგილას პოსტებზე უორგანიზაციოდ იდგა ადგილობრივი სოფლელები. პირველათ რაზმმა დაიკავა მოვიხავე პოზიციები და შეუდგა მის გამაგრებას. 5 აპრილამდე ახლო-მახლო ოსმალეთის ჯარი არ სჩანდა. მხოლოდ ჩვენი ბივერაგები ქობულეთამდე ჩადიოდენ. 5 აპრილს ცნობა მოვიდა: მტერი მოდისო. რაზმმა გაგზავნა 70-მდე კაცი. მდ. ოჩხამურის ხიდთან ჯავშნიანი მატარებლის ორთქლმავალი იყო ჩავარდნილი და მუშები 1—2 საათში აპირებდნენ, როცა ოსმალების ჯარი მოიხარეს სოიდგა.

დღის პირველი საათი იქნებოდა, როცა პირველათ გავარდა თოფი. მტერი აქ ძლიერი აღმოჩნდა. მას ძლიერი ჯარი ჰყავდა. ისროდენ ზარბაზნებიდან, ტყვიის მფრქვევლებიდან და თოფებიდან. ჩვენები ამ ადგილას გამაგრებული არ ყოფილან—მუშაობის უზრუნველსაყოფად იყვნენ ისინი წასულნი; ძლიერი ცეცხლი გაიხსნა ჩვენი რაზმის და მოწინააღმდეგეს შორის. რაზმი შეერთებული არ იყო რეზერვთან, რომ დროზე დახმარება გაეწია დანარჩენ ნაწილს რაზმისას. სხვადასხვა ნაწილები, რიცხვით 100—150 კაცამდე ახლო-მახლო კიდევ მოიპოვებოდნენ და აი, სწორეთ ამისაკენ გაეშურა რაზმის ხელმძღვანელი და „კამანდრობა“ გადასცა პორუჩიკ დოლიძეს. დოლიძემ დიდი გმირობა გამოიჩინა აქ. ის უშიშრად დაჭროდა ამ წამოუდგენელ ცეცხლში „ცეპის“ ერთი ნაპირიდან მეორეზე და დიდებულ ხელმძღვანელობას უწევდა ამხანაგებს, მაგრამ მას არ დასცალდა ბევრი. ის გაგმირა მტრის ტყვიამ. მეორე ოფიცერი, რომელიც მარჯვენა ფრთას ხელმძღვანელობდა, დაიჭრა მძიმედ. სროლის ცეცხლი ერთ წუთას არ შეჩერებულა. რაზმელები გმირულათ იდგენ თავიანთ ადგილებზე და გამაგრებული იბრძოდენ. ბრძოლამ გასტანა 6 საათი. უკვე დაღამდა. სროლა შესწყდა. აქ გმირულათ დაეცა ბრძოლაში 9 საუკეთესო ამხანაგი, დაგვიჭრეს 15 კაცი. ვინაიდან მუშებს არ შეეძლოთ ასეთ პირობებში მუშაობა, ისინი სროლის წინ ნატანებში დაბრუნდნენ, რის შემდეგ მდ. ოჩხამურის ნაპირას რაზმის გაჩერება უაზრობა იყო და რაზმიც დაუბრუნდა ჩოლოქს, რომელიც ვერს ნახევრით არის დაშორებული ოჩხამურიდან. ოსმალების განზრახვა, რომ დაეკავებიათ ნატანები ჩაიფუშა.

მტერი 5 აპრილს აქ შეჩერდა ვინაიდან ჩვენის მხრით მცირე-რიცხოვანს, მაგრამ ძლიერ შესაფერ ძალას შეხვდა. იმავე ღამეს რაზმს მიემატა მიხაილოვის და გორის გვარდია, რომელმაც საუცხოვო ბრძოლის უნარი და თავ-განწირულება გამოიჩინა საგანგებო რაზმთან ერთად. 5 აპრილიდან 3 დღეს განუწყვეტელი ბრძოლა იყო. ჩვენი გვარდიელები და რაზმი იდგა მედგრათ თავიანთ პოზიციებზე და საგრძნობ ზიანს აყენებდა მტერს. 7 აპრილს ჩვენი არტილერია განუწყვეტლივ მუშაობდა. 8 ს ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით მტერი სასტიკათ დამარცხდა. ბრძოლის ველზე დასტოვა აუარებელი დახოცილები და სამხედრო მასალა.

ჩოლოქთან გამარჯვება ბევრ იმედებს იძლევა. ის გვიჩვენებს, რომ დემოკრატია უძლეველია, თუ ის ბრძოლის ველზე ოდნავათ ორგანიზაციულად შეკავშირებული გამოდის.

8 აპრილს საღამოს რაზმი ოზურგეთისაკენ გაეშურა რა გაიგო, რომ ის უკვე ოსმალეთის ხელშია. 9 და 10-ს შუადღემდე სასტიკი ბრძოლა იყო ოზურგეთის ფრონტზე ჩვენს ჯარებს და ოსმალებს შორის. ორი დღე იყო საჭირო, რომ მტერი სრულიად დაგვემარცხებია ამ ფრონტზე, მაგრამ ბრძოლა შეაჩერა დროებითმა შერიგებამ და განზრახვა სისრულეში არ მოსულა, ჩვენი ჯარისკაცები მთელი სულით და გულით იყვნენ ბრძოლის ცეცხლით ალგზნებული, ამიტომ დროებითმა შერიგებამ ერთგვარი უკმაყოფილებაც კი დაბადა მათში.

დღეს საგანგებო რაზმი ძალებს იკრებს, მტკიცე ორგანიზაციას ქმნის და ძლიერდება.

პრომეთეოსი

---

ნატანებში 15 აპრილს მოასვენეს 5 მხედრის გვამი, რომლებიც ჩოლოქის მიმართულებით ბრძოლის დროს მოჰკლეს. ესენი თათრებს დაესაფლავებიათ. ამ დროებით შერიგების დროს მოკლულების მოკეთე-მეგობრებმა იმაცადინეს და ნებართვა აიღეს წამოესვენებიათ. მოკლულები სასაფლაოდან ამოიღეს და ნატანების სადგურის საავადმყოფოში მოასვენეს, გვამები სრულიად გაეტიტვლებიათ და ისე დაესაფლავებიათ.

17 აპრილს ნატანებში ვაშნარიდან ოსმალთა რეგულიარული ჯარის კაცი მოიყვანეს. ეს ტყვე ამბობს: ჩვენ ოთხნი ვიყავით და მათ გამოვშორდი და აქეთ წამოვედი. ძალიან მშიოდა, თან ავად ვარო. როცა ჩვენებს საჭმელი ემშია და გაეთბო ეთქვათ, რომ შეგიძლია უკან წახვიდეო, მაგრამ ტყვეს ეთქვა ჩვენებისთვის: მე თქვენ 120 პატრონს და თოფს ჩაგაბარებ, ორი პატრონი ჩემზე დაახარჯეთ და აქვე მომკალით, უკან წასვლა არ შემიძლიაო. ეს ტყვე ძალზე გამხდარია. მან ილაპარაკა: როცა ბათუმთან გაიმარჯვეს, შიგ ქალაქში არ შეგვიშვეს, პირდაპირ ჩოლოქისკენ გამოგვაგზავრეს. აქ როცა შეტაკება იყო, ჩვენი ჯარი ბევრი დაიხოცა და დაიჭრა, დანარჩენები დავიფანტეთ, მაგრამ შემდეგ თავი მოგვიყარეს და ისევ დაგვრაზმეს.

ივაკი გიორგაძე

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

4—8 მაისი.

**ბერლინი.** უკრაინის რაიონში სამხედრო მოქმედებაა. ეკატერინოსლავ-ხარკოვის მხრით ჩვენ შევედით დონის ოლქში. აზოვის ზღვის პირად ჩვენ დავიკავეთ ქალაქი ტაგანროგი.

ფინლიანდიის სამხრეთ ოლქში ტავასტგუტის რაიონში 5 დღის ბრძოლის შემდეგ მტერი დავამარცხეთ და ტყვეთ წამოვიყვანეთ 20 ათასი კაცი.

**მოსკოვი.** რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო უკრაინის საბჭოს მთავრობის და დონის მუშათა რესპუბლიკისაგან შემდეგი განცხადება: „ვასრულებთ რა საბჭოს მთავრობის ნებას უკრაინაში და დონის რესპუბლიკაში, მე ორი თვის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი საბჭოს, უკრაინის და დონის ჯარებს გერმანელ-გაიდამაკელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოს მთავრობამ დასტოვა უკრაინის საზღვრები, როგორც ეს განსაზღვრული იყო მესამე უნივერსალით, თანახმათ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობისა. ამიტომ თქვენთან შეთანხმებით სამხედრო მოქმედებას შეწყვეტილათ ვაცხადებ გერმანელ-გაიდამაკელთა წინააღმდეგ და უარს ვამბობ სამხრეთ რესპუბლიკების ჯარების მთავარსარდლობაზე. ყოფილი მთავარსარდალი ოვსიენკო ანტონოვი“.

## კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

4 მაისი.

შავი ზღვის პირის რაიონში ცვლილება არ მომხდარა. ახალციხის მიმართულებით 2 მაისს ოსმალთა მზვერავები შეეცადენ ჩვენი სადარაჯო ადგილების განადგურებას, მაგრამ ჩვენმა რაზმმა სროლით გასცა მათ პასუხი და უკან დაახევია.

ერევნის მიმართულებით 2 მაისს ქურთები თავს დაესხენ სოფ. გიუნდის რაიონში ჩვენს როტას (ეს სოფელი იგდირიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს 15 ვერსის მოშორებით). ქურთები ჩვენმა ჯარმა გარეკა.

კუჯახის და ზორის უღელტეხილები ჩვენ დავიკავეთ. დემარკაციული ხაზის გასავლებათ ჩვენი რაზმის უფროსმა ბაიაზეთში გაგზავნა აფიცერი და სამი ჯარისკაცი, ოსმალების აფიცერიც მოვიდა და სამი ასკერი.

ამ მიმართულებით ჩვენი ჯარის ზურგში სადგურ დოვათუს აღმოსავლეთით ქურთები და თათრები თავს დაესხენ ზინჯირლუს, კარახაჩის და გორტუნის სოფლებს და გარეკეს 800 სული საქონელი.

8 მაისი.

2 მაისს სადგ. ბაშ-ნორაშენის ახლოს თავს დაესხენ მატარებელს, რომელიც გაგზავნილი იყო ერევნიდან ჯულფაში მოსამსახურეების წამოსაყვანათ. მოჰკლეს 16 სომეხი, მათ შორის ნაფიცი ვექილი მუშეგიანი.

7 მაისის თარიღით მიღებული მოხსენების თანახმად კავკასიის ფრონტზე დროებით მორიგება არ დარღვეულა.

## ახალი ამბები

**ახალციხის ფრონტი.** გუშინ დაბრუნდა ახალციხის ამბების გასაცნობათ გაგზავნილი ჩვენი თანამშრომელი და შემდეგი გვიამბო: აპრილის პირველ რიცხვებში მუსულმანები შემოერტყენ ახალციხეში დაბანაკებულ ჩვენ ჯარს და დაანწყვდიეს, თავის დროზე შეიძლებოდა აჯანყებულების ალაგმვა, მაგრამ მაშინ საქმის მშვიდობიანის გზით გათავება ამჯობინეს. დღეს ახალციხის ჯარი ალყის გარღვევას ვერ ახერხებს, რადგან შედარებით მცირე რიცხოვანია. აბასთუმანი მუსულმანების ხელშია. ჩვენს ხელშია ახალციხის მაზრის ნაწილი ბორჯომიდან დაახლოვებით 25 ვერსზე. იქ არის ჩვენი პოზიცია, რომელსაც წითელგვარდიელები და ქართველი ჯარისკაცები იცავენ. არიან სხვა ეროვნების ჯარისკაცებიც. ჩვენი პოზიციები აწყურს აქეთ არის. მუსულმანები თხრილებში სხედან ჩვენ თხრილებიდან ვერს ნახევრის სიშორეზე. შეტევის დაწყებას ვერ ბედავენ, ეტყობა ძალების მომატებას ელოდებიან. ამ ერთი კვირის წინეთ ჩვენებმა ცენტრის სანგრებიდან გარეკეს მტერი, მაგრამ ისევ ძველს სანგრებში დაბრუნდენ. სულიერი განწყობილება ჩვენს ჯარებში ჩინებულია, დისციპლინაც დაცულია, მაგრამ ითხოვენ მაშველ ჯარის გაგზავნას და შეტევის დაწყებას. თუ შეტევა დაგვიანდა, მოსალოდნელია ჯარის ნაწილის მიერ პოზიციების მიტოვება, რადგან გვარდიელები და ჯარისკაცები ვერ იტანენ ერთ ადგილას „უსაქმოთ“ გაჩერებას.

✦ **სამხედრო მინისტრმა** გრ. გიორგაძემ ამ დღეებში დაათვალიერა ჯარის ზოგიერთი ნაწილები. მინისტრი გაეცნო ჯარისკაცების საჭიროებას. 6 მაისს მინისტრი და ქართული კორპუსის უფროსი გენ. გაბაშვილი ახალციხის ფრონტზე იყვნენ. აქ ერთ მოწინავე პოზიციაზე მოვიდა ჯარისკაცი, რომელმაც ახალციხიდან წერილი მოიტანა ქართული ჯარის უფროსისაგან. წერილის მომტანი მინისტრომა გიორგის ჯვრით დააჯილდოვა.

✦ **დონის-როსტოვი** გერმანია-უკრაინის ჯარმა აიღო. ბოლშევიკებს წინააღმდეგობა გაუწევიათ. ქალაქის დატოვებისას ბოლშევიკებს ქალაქისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ. როსტოვი იწვის. ამის გამო ჩრდილო-კავკასიაში დიდი პანიკაა. გერმანელები ჩრდილოეთ-კავკასიისაკენ მოიწევენ.

✦ **კავკავში** ანარქიაა. ბოლშევიკების მდგომარეობა მძიმეა. ინგუშები და ოსები ბოლშევიკების წინააღმდეგ ბლოკს ჰკრავენ და შეიარაღებულ გამოსვლას აპირებენ.

✦ **ბათუმში** ჩამოვიდა ოსმალეთის და გერმანიის საზავო დელეგაციები. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარედ ფონ-ლოსოვი, დელეგაციის წევრათ, სხვათა შორის არის თფილისში გერმანიის კონსულათ ნამყოფი შულენბურგი.

✦ **ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის** კონსტიტუციის შესადგენათ მთავრობამ უკვე აირჩია კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. კომისიამ უნდა შეიმუშავოს კონსტიტუციის პროექტი, რომელიც სეიმს წარედგინება განსახილველათ.

კომისიის თავმჯდომარეთ ა. ი. ჩხენკელია, კომისიაში წევრებათ შედიან 5—5 წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის მკვიდრთა, 3 ეროვნულ საბჭოსაგან, საქართველოს, სომხურ და მაჰმადიანთა; მთავრობამ კომისიაში მოიწვია, როგორც მცოდნე პირები პროფესორები ღამბაროვი და ავალიშვილი, ნაფ. ვექ. სერგო ჯაფარიძე; გრუზენბერგი, რცხილაძე და რასულ-ზადე. კომისიის მდივნათ მთავრობამ დანიშნა მთავრობის თავმჯდომარის მდივანი ლ. ე. შერმანი. კომისიის პირველი სხდომა 4 მაისს მოხდა. პირველი სიტყვა ჩხენკელმა სთქვა. მან აღნიშნა, თუ რას მოელის მთავრობა კომისიის მუშაობისაგან, რომელმაც ამიერ-კავკასიის ერებისთვის ისეთი პირობები უნდა შექმნას, რომ ყოველი ერი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თავისუფალ განვითარების და თვითგამორკვევის საშუალების მაქსიმუმით. ამავე დროს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო აყვავდეს, განვითარდეს და გაძლიერდეს ამიერ-კავკასიის ყველა ერების შეთანხმებულ მუშაობით. პირველი სხდომა საორგანიზაციო საკითხებს მოუნდა. ეროვნულ საბჭოების მხრით კომისიაში შედიან საქართველოს ეროვნულ საბჭოსაგან: რ. არსენიძე, გ. გვაზავა, ვლ. გობეჩია, შ. ალექსი-მესხიშვილი და საყვარელიძე; სომხურ ეროვ. საბჭ.: პაპაჯანოვი, ფირუმოვი, ხონდკარიანი, ტიგრანიანი და შახატუნი; მაჰმადიანთა ერ. საბჭოდან: გაჯინსკი, ჯაფაროვი, ხასმამედოვი, საფიკურსკი, ხან ხოისკი. პირველსავე სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან: თავმჯდ. ა. ი. ჩხენკელი, ამხანაგებად: ხოისკი და ტიგრანიანი, მდივნად—გ. ს. რცხილაძე. კომისიის მეორე სხდომა 5 მაისს მოხდა. ამ სხდომაზე დიდი კამათი გამოიწვია სახელმწიფოს წესწყობილების ფორმის და ტიპის საკითხმა; აშკარა იყო 2 მიმართულება: ერთი—ცენტრალიზაცია ფედერაციის სახით, მეორე—ეროვნული დანაწილება კონფედერაციის სახით. მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებმა წინადადება წამოაყენეს უფლება მიეცეს კონფედერაციის წევრს ეროვნების სეცესიისა, ე. ი. კონფედერაციიდან გამოსვლისა, თუ უთანხმოება მოხდა კონფედერაციის სხვა წევრ—ეროვნებებთან. კამათის მიზანი იყო აღმოეჩინა მთავარი სახელმძღვანელო ხაზი იმ ცალკე კომისიისთვის, რომელმაც კონსტიტუციის პროექტი უნდა შეიმუშაოს. ამ ცალკე კომისიაში შევიდნენ: პრეზიდიუმი: ხოისკი, ტიგრანიანი და რცხილაძე (ჩხენკელი ბათუმს გაემგზავრა). მცოდნე პირები: გრუზენბერგი და ს. ჯაფარიძე (ღამბაროვი და ავალიშვილი ბათუმს გაემგზავრნენ) და თითო წარმომადგენელი ეროვნულ საბჭოებისაგან: არსენიძე, შახატუნი და ხასმამედოვი, მდივანი—შერმანი. ცალკე კომისიის პირველ სხდომაზე 7 მაისს, რომელზედაც შემდეგი სხდომისთვის მაისის 11 დაინიშნა გასარჩევად შემდეგი საერთო საკითხები: 1) ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს მოქალაქეთა საერთო პოლიტიკური უფლებანი, 2) კავშირის მთავრობის კომპეტენცია, 3) საკავშირო მთავრობის ორგანიზაცია და 4) ეროვნულ უმცირესობათა უზრუნველყოფა. ცალკე კომისიის თავმჯდომარეობს ფატ-ალი-ხან-ხოისკი.

✦ **ქართულ სარევოლიუციო და ეროვნულ ჰიმნ-საგალობელთა კონცერტი.** ამ დღეებში სახელმწიფო თეატრში კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის მეთაურობით და მონაწილეობით გაიმართება ქართულ სარევოლიუციო და ეროვნულ ჰიმნ-საგალობელთა კონცერტი. მრავალ საკონცერტო პიესათა შორის და უცხო ერთა სარევოლიუციო ჰიმნ-საგალობელთა გარდა შესრულებული იქნება პირველად კ. ფოცხვერაშვილის ახალი ქართული სიმღეროთ მუსიკის სახიუმო თხზულებანი: ეროვნული ჰიმნი, ქართული მარსელიეზა და სარევოლიუციო—საზეიმო მარში. სდგება მრავალრიცხოვანი ქალ-ვაჟთა გუნდი, რომელშიაც ყველა კერძო მომღერალსაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს. მსურველთ სთხოვენ ჩაეწერონ თავიანთ სარაიონო ორგანიზაციებში.

✦ **თელავიდან** დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქ ვეროგულათ მოუკლავთ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრი კომისარი ამხ. გოგი კალანდაძე.

✦ **ქართველ ქალთა სანიტარული რაზმი** აცხადებს, რომ მელიქიშვილის სამკურნალოში ლექციების კითხვა გაზნხლდა. 7 მაისიდან 9 მაისს საღამოს 5 ს. დანიშნულია საზოგადო კრება; განსახილველია შემდეგი საკითხები: გამოცდების დრო, პირობები და სხვები. გაზაფხულის შესახვევი № 5, ქალთა ამხანაგობის სკოლაში.

✦ **მუშათა კლუბი.** პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ხსნის პირველ მუშათა კლუბს (მიხეილის პროსპექტი № 65). წევრათ ჩაწერა შეიძლება პროფესიონალურ კავშირებში.

✦ **პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომა** შესდგება პარასკევს 10 მაისს. დღის წეს-რიგი: მოხსენება მუშათა კლუბის შესახებ, კლუბის კომისიის მოხსენება, სარევიზიო კომისიის არჩევა, შემრიგებელი კამერა და მიმდინარე საკითხები, სთხოვენ ამხანაგებს დაესწრონ სხდომას.

✦ **ეროვნულ საბჭოს კრება** შესდგება დღეს, ხუთშაბათს 9 მაისს დღის 12 საათზე. განსახილველი საგნები: 1—საქართველოს კონსტიტუციის შედგენის საკითხი. 2—მიმდინარე საკითხები. კანდიდატების დასწრება საჭიროა.

✦ **სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა** პროფესიონალურ კავშირის გამგეობა სთხოვს ამხანაგ კავშირის წევრებს დააჩქარონ 1918 წლის საწევრო ბილეთების განახლება, რომ შეეძლოთ მონაწილეობა მიიღონ გამგეობის მომავალ არჩევნებში.

✦ **ბორჩალოს მაზრაში** ეროვნებათა შორის შეტაკებების გამო მთავრობა იქ დელეგაციას გზავნის. ბორჩალოს მაზრის კომისარი ახვერდოვი უკვე გამოიწვიეს თფილისში.

— ნახჩევანში ჯავშნიანი მატარებელი იგზავნება. სამშვიდობო დელეგაციას აქ სპარსელი ქურთები დასცემიან.

✦ **დამცველმა შტაბმა** დააპატიმრა: ქართულ 1 ცხენოსანთა პოლკის ჯარისკაცები ნ. ცინცაძე, ვ. ბებელაძე და ნ. ყიფიანი ეს პირები დადიოდენ ქუჩა-ქუჩა ღამე, სჩხრეკავდენ გამვლელებს და სძარცვავდენ. ნესტორ კასუევი, გრ. ვასილიევი, რომელნიც ბრბოს მოუწოდებდენ თვითგასამართლებისაკენ. მოქალაქე ნრშაკ ზალიევი აფიცერზე იარაღით თავდასხმისათვის. აფიცერი ვას. ლიაპინი პროვოკაციისთვის. ქართულ მე-2 გუსართა პოლკის კორნეტები პ. მხეიძე, მ. ფურცელაძე და მიხ. აბულაძე, რომლებმაც სეიმის წევრს ერაძეს ცემა დაუპირეს და აღმასრულებელი კომიტეტში თავხედურათ იქცეოდენ; ჯარისკაცები კაროვინი, კუჩერენკო და სტარჩაკი, რომელთაც იარაღი და სპარსული ფული აღმოაჩნდათ; ჯარისკაცები ლებედინსკი და გულიაევი, რომლებსაც მძარცველთა ბრბოს მონაწილეობა ბრალდებათ; სად. ნათლუღის კომენდანტი ალექსანდროვი სახაზინო ქონების გაყიდვისათვის.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, 9 მაისს, საღამოს 6 საათზე, კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა კრება.

## პროვინციის ქრონიკა

**ფოთი.** ფოთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი ამით აცხადებს სხვა პარტიულ ორგანიზაციათა საყურადღებოთ, რომ ვარდენ მაქს. ძე ჩხაიძე პარტიიდან გამორიცხულია.

— ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობასთან (მეორეთ), რათა ქ. ფოთი გამოყოფილ იქნას ცალკე სასურსათო ერთეულათ, რომ მას შეძლება მიეცეს ცალკე, საგუბერნიო და სამაზრო სასურსათო კომიტეტებისაგან დამოუკიდებლათ, გამოიწეროს საჭირო სურსათი. ამასთან ქალაქის თვითმართველობა, რომლის ხელში გადადის სასურსათო კომიტეტი, პირდება მთავრობას, რომ ის ყოველგვარ ზომებს მიიღებს თავის მხრივ მიაწოდოს სურსათი მთელ ამიერ-კავკასიას შეძლებისდაგვარათ. მთავრობის ზოგიერთმა წევრებმა უკვე აღუთქვეს ქალაქის თვითმართველობას ამ თხოვნის დაკმაყოფილება.

— მილიციონერების და „კონკაში“ მოსამსახურეთა თხოვნა ჯამაგირების მომატების შესახებ ქალაქის საბჭომ დააკმაყოფილა. ამიტომ კონკის ბილეთების ფასი გაამვირეს 25 კაპ.-მდე.

— დაარსდა თავდაცვის შტაბი. ქალაქში გამოცხადებულია საალყო წესები. ქალაქი სავსეა ლტოლვილებით— ბერძნებით და სომხებით, განსაკუთრებით— ბათუმიდან და ტრაპიზონის რაიონიდან გამოქცეულებით.

— ფოთის სოც. დემ. ორგანიზაციის კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ მოქალაქენი: ერმილე გოგავა, ალექსი ალანია, კოწია სიხარულიძე და კლემენტო ჯორბენაძე პარტიიდან გამორიცხულები არიან.

— ქალაქის გამგეობას მიემატა მესამე წევრი—მიხა ესაკია (ს.-ფედ.).

**ახმეტა** (თიანეთის მაზრა). აქ დაარსდა სასურსათო სარაიონო კომიტეტი და რევოლიუციონური ტრიბუნალი პორუჩიკ ნ. წიწიშვილის თავმჯდომარეობით. ტრიბუნალი უკვე შეუდგა საქმეს.

— შეიპყრეს პროვოკატორი—ყაჩაღი ცხადაძე და გადასცეს თიანეთის რევ. ტრიბუნალს.

— ოთხი თვე იქნება, რაც მილიციონერებს ჯამაგირი არ მიუღიათ. ისინი დიდ გაჭირვებას განიცდიან.

— 5 აპრილს [illegible] მიტინგმა დაადგინა [illegible] უწევს ჯარში წასვლა, ყველა წავიდესო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის მთელი ზემო თიანეთი ამ საკითხში „ბოლშევიკობს“.

## დამშეული გურია

(ჩვენი მიმართვა)

მრავალტანჯული და დამცირებული გურია საშინელ დღეებს განიცდის შიმშილის სახით. ისედაც დამშეულს, მას უკანასკნელ დღეებში კიდევ უფრო საშინელი განსაცდელი მოევლინა. ქ. ოზურგეთი და მისი ირგვლივ მდებარე სოფლები ოსმალეთის ჯარმა დაიპყრო და ამ რაიონის (5—6 საზოგადოების) მცხოვრებნი იძულებულნი შეიქნენ თავიანთი ქონება და, რაც მთავარია ამ შემთხვევაში, საკვები სიმინდი უპატრონოთ მიეტოვებია და გურიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს შეხიზნებოდა. მთელი ისედაც დამშეული სოფლები—ჯუმათი, მამათი, სირიული, ძიმითი, აკეთი, ზომლეთი, ბახვი, ასკანა და ჩოხატაურის რაიონის თითქმის ყველა საზოგადოებები გავსებულია დღეს დაპყრობილი ადგილებიდან გამოქცეული „ხიზნებით“, ზოგიერთ ოჯახში 120—150 სული გამოქცეულია შეხიზნული, რომელთაც არც ერთი ფუთი სიმინდი არ მოეპოვება და ამიტომ საშინელ [illegible] აქვს ადგილი ამ რაიონებში. დადის გლეხი ტომრით ხელში უცხო სოფლში და ეძებს მჭადს, მაგრამ ვერსად შოულობს. სახლში კი—სხვის ჭერს ქვეშ ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცება. გაჩნდა ამ ნიადაგზე სხვადასხვა ავათმყოფობანი და ხალხს მუსრს ავლებს. მშველელი არავინ არის. მაზრის სასურსათო გამგეობა არსად სჩანს. მან ბედის ანაბარათ მიატოვა ოზურგეთის აღების შემდეგ დამშეული ხალხი და სადღაც გაქრა. გურიის სხვა ორგანიზაციები—უმთავრესად თავდაცვის კომიტეტი—ყოველ ზომებს ხმარობენ, რომ სადმედან სიმინდი შეიძინონ და ხალხს მიაწოდონ, მაგრამ მათი ცდა ჯერ უნაყოფოდ რჩება. სასურსათო კომიტეტის მიერ დაბევებული სიმინდი არსად სჩანს, ამბობენ ქუთაისში მიიღესო, სამტრედიაშიდაც დააკავეს გურიაში მომავალი სიმინდით დატვირთული ვაგონებიო, მაგრამ დამშეულ გურიამდე მხოლოდ ხმები აღწევს ამის შესახებ. ხალხი-კი, ვიმეორებთ, შიმშილით სულს ღაფავს, მთებსა და კლდეებში შეხიზნულთ არც ერთი დღის საკვები არ მოეპოება და მათ ადრე შიმშილით სიკვდილი მოელისთ.

ამიტომ ჩვენ პრესის საშუალებით მივმართავთ ხელმძღვანელ ორგანოებსა და პირებს, ამიერ-კავკასიის სასურსათო გამგეობასა და მთავრობასაც—მიაქციონ ამ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება, დაუყონებლივ მიაწოდონ რაიმე საკვები (სიმინდი იქნება ეს თუ სხვა რაიმე) დამშეულ ხალხს და მით უზრუნველყონ მათი ფიზიკური არსებობა. თორემ ისტორია არავის არ აპატიებს გაჭირვებაში, შიმშილის—მეფე შიმშილის კლანჭებში მყოფი ხალხის თავის ანაბარათ მიტოვებას.

წინადადებას ვაძლევთ აგრეთვე ოზურგეთის მაზრის სასურსათო გამგეობას დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს თავის მოვალეობას და განაახლოს მუშაობა გურიის რომელიმე თვალ-საჩინო პუნქტში.

ოზურგეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი და ოზურგეთის ქალაქის თავის მოადგილე მიხა საბაშვილი.

გურიის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი და მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ვანო ბ. ღლონტი.

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

მ. საბაშვილი.

## სოხუმის ოლქში

აქ ანარქიის დასაწყისი 15—19 თებერვლის ბოლშევიკების გამოსვლებში იყო, რომელიც მათი დამარცხებით დამთავრდა.

ამ გამოსვლების ბელადი იყო ეფრემ ეშბა, რომელმაც მისცა მატროსებს-ოფიცერი ემუხვარი. უკანასკნელი მნახველთა გადმოცემით მატროსებმა ქვაბში მოხარშეს. ამან საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია. ბოლშევიზმით გატლეკილი საყარაულო როტამ საპყრობილედან გაათავისუფლა ცნობილი შანტაჟისტები. სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი, სადაც მხოლოდ ბოლშევიკები იყვნენ და ეყრდნობოდა ხსენებულ როტას იძულებული შეიქნა გადამდგარიყო თანამდებობიდან და მთელი თავისი შემადგენლობით შეხიზნებოდა ბათუმის ფლოტს. ერთი კვირის შემდეგ გუდაუთის კომისარმა ლაკობამ გაუწია მფარველობა ეშბას და შემოიყვანა გუდაუთში. იმ დღეებში მზადება იყო სოხუმის ოლქის მეორე გლეხთა სიეზდის, რომელიც შესდგა 300 დელეგატისაგან და იმუშავა

4—9 მარტამდე. ლაკობას და ეშბას იმედები ამ სიეზდმა მოულოდნელათ გააცრუა. სიეზდმა თითქმის ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც ისინი ცნობენ რა სეიმს უმაღლეს კანონმდებელ ორგანოთ, მხარს უჭერენ მას როგორც შინაგან საქმეებში, ისე გარეშე მტრისაგან თავდაცვაში. ამით გამწყრალი ლაკობა (ერთი მოწინააღმდეგე რეზოლიუციის) ბრუნდება გუდაუთში და ავრცელებს ცრუ ხმებს სიეზდის შემადგენლობაზე. ხალხი არ აყვა დემაგოგს. ამ დროს გაგრიდან მოდის დეპეშები როგორც ლაკობას, ისე სხვებს ცნობილ ლოთ სმირნოვისაგან, დახმარების თხოვნით „კონტრ-რევოლიუციის“ ჩასაქრობათ. გუდაუთის დემოკრატია კარგათ იცნობდა დეპეშების ავტორს და ანგარიშსაც მოთხოვდა დასახმარებლათ წამსვლელთ, მაგრამ ასეთი არ აღმოჩნდა. ასეთივე შინაარსის დეპეშები გაეგზავნათ სოჩაში, საიდანაც „ტოვარიშჩები“ მაშინვე გამოქანებულიყვნენ. თუმცა გაგრაში მოწინააღმდეგე არავინ აღმოუჩნდა თავდამსხმელთ, მაგრამ „ბომბარდიროვკა“ მაინც უყვეს ქალაქს და დააზიანეს პრინც ოლდენბურგის ყოფილი სასახლე. ასეთმა სიმხეცემ აღაშფოთა შეგნებული დემოკრატია და ის იყო, რომ უნდა გაელაშქრებიათ უპასუხისმგებლო პირთა წინააღმდეგ, როცა ლაკობა და ეშბა (ბალშევიკები) გაემგზავრენ გაგრაში, ვითომ მშვიდობიანი გზით წესიერების აღსადგენათ. მაგრამ ისარგებლეს რა აღნიშნულ პირებმა ბრბოს გამოსვლებით, დაუწყეს დაფრთხობა აფხაზ გლეხებს და მოტყუილება. გლეხებს უთხრეს: თუ ჩვენ პურ-მარილით არ შევხვდით, განადგურება მოგველისო. თუ მივიღებთ მათ მთავრობას, ფული, თეთრი პური, შაქარი და მიწა ყველაფერი დაგირიგდებათო. ამგვარათ მოატყუეს გაგრის დი გუდაუთის „უჩასტკის“ გლეხები და მიაღებიეს საბჭოს მართვა-გამგეობა. აქ გამარჯვების შემდეგ სოხუმს მიადგენ, რომელსაც წინააღმდეგობა არ გაუწევია. დამყარდა თუ არა ბალშევიკების მართვა-გამგეობა, მკვლელობამ, ძარცვა-გლეჯამ, თავდასხმამ და ყოველგვარ შანტაჟმა ფართო ხასიათი მიიღო. მკვდრებს საშინლათ ასახაჩრებდენ. ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში ახლანდელი ადმინისტრაცია უნარდაკარგული გამოდგა. სამაგიეროთ, ატუსაღებენ მოწინავე ამხანაგებს, ადებენ კონტრიბუციას, თუ ვისიმე ფიზიონომია არ მოეწონათ და სხვ. დაჭერილებს გზავნიან არმავირისაკენ. დაჭერილები ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ იქ წასვლას ასცდენ. ამ ნიადაგზე ადმინისტრაციის ბოროტებაც კი მიუძღვის. ამგვარათ ხალხს დაპირებანი ვერ მისცეს, მეასე კანი აძრეს და შანტაჟისტები კი მიუსიეს. ხალხში დიდი უკმაყოფილებაა.

ქართველი საზოგადოება შეეცადა მოხალისეთა რაზმის შედგენას. აქ ხმა გაავრცელეს, რომ ბათუმი ბალშევიკებმა აიღეს და მენშევიკები მობილიზაციას მიტომ ახდენენ, რომ წაართვან. ეს მაშინ, როდესაც ბათუმი ოსმალთა ხელში ჩავარდნილა. 2—3 აპრილს გუდაუთის რეიდს მიადგა ორი ნავი და იტვირთებოდა სიმინდით. გამოირკვა, რომ ნავები ოსმალეთის იყო. ქართველებმა, სომხებმა და ბერძნებმა კომისარს დელეგაცია მიუგზავნეს თხოვნით, ნავები დაეპატიმრებიათ და სიმინდი გადმოეტვირთა. კომისარმა შეასრულა მოთხოვნილება, მაგრამ დილით, რომ გავიხედეთ, არც ნავები იდგა ნაპირზე და არც სიმინდი იყო. ყველა დარწმუნდა, რომ სიმინდი უკვე გაიგზავნა, მაგრამ პასუხის მოთხოვნა ვერ გაბედეს. ადმინისტრაცია სასტიკათ სჯის ასეთ შემთხვევებში კრიტიკის გამწევთ.

მშვიდობიანი მცხოვრებლები დიდათ შევიწროვებულია, რის გამო ბევრი სტოვებს საცხოვრებელს, სამსახურს და გარბის. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ არავითარი ცნობები იქ არ შედის, ნამდვილი, გადაუმახინჯებელი; ჟურნალ-გაზეთებს ვერ ვღებულობდით. იყო მხოლოდ სოხუმის და გუდაუთის ადგილობრივი გაზეთები, რის საშვალებით მხოლოდ სეიმის და კომისარიატის კონტრ-რევოლიუციონერობას გვიმტკიცებდენ და მოუწოდებდენ მცხოვრებლებს მათ წინააღმდეგ. ხალხში კი სულ წინააღმდეგი რამ მტკიცდება.

გადმოხვეწილი.

## საზავო დელეგაციის საპატიო ყარაულის თავგადასავალი

15 მარტს ბათუმის კომენდანტის ბრძანებით ჩვენ გაგვამგზავრეს ტრაპიზონში, გემ „ელბრუსით“, რათა შეგვეცვალა გემ „ვეჩე“ მდგომი დელეგაციის საპატიო რაზმი.

ჩავედით ტრაპიზონში და დავრჩით დელეგაციის გამობრუნებამდე. როცა დელეგაცია წამოვიდა, ჩვენ წინდაწინ გამოგვგზავნეს ტრანსპორტ „ელბრუსით“, თვით დელეგაცია კი უნდა წამოსულიყო გემ „ვეჩეთი“. როცა ბათუმს მივუახლოვდით, გემზე მსახურმა მატროსებმა გამოგვიცხადეს: ბათუმი უკვე აღებულია თათრის მიერ და შიგ შესვლა არ შეიძლება, ამისთვის ნოვოროსიისკში უნდა შევიდეთო; ჩვენ ვსთხოვეთ რათა ფოთში გავეყვანეთ, მაგრამ მათ მოიმიზეზეს წყალი არ არისო და სხვა და პირდაპირ ტუაპსისკენ გაგვწიეს. ტუაფსეს რომ მივუახლოვდით, ჩვენ კატეგორიულათ მოვსთხოვეთ, რათა გადმოვესხით გემიდან. მათ ერთხანს მუქარით მოგვმართეს, შემდეგ კი ნავებით გადმოგვსხეს ტუაპსესთან. თითონ ტუაპსეში არ შემოვიდენ, მხოლოდ რადიოთი აცნობეს ტუაპსეში მდგომ გემს, რათა მას შტაბისთვის ეცნობებია ჩვენს შესახებ, რომ მათ დაეჭირეთ. ჩვენ მართლაც ხმელეთზე გადასვლისას შეგვიპყრეს და იარაღი აგვყარეს. წაგვიყვანეს შტაბში, სათითაოდ შეგვიყვანეს სახლში და სასტიკათ გაგვჩხრიკეს. გაგვხადეს ტანზე და ფეხზე და ისე გვჩხრეკდენ. დაგვეკითხენ, თუ როგორი მდგომარეობა იყო ბათუმში. ვინ იყო უფროსები და ვინ ხელმძღვანელობდა ჯარს: ძლიერ სასტიკათ გვეძებდა ერთი ებრაელი გვარათ გოლდშტეინი, რომელიც ბათუმში ნამყოფი იყო, თან ის დატყვევებული ყოფილა გემ „კარლოსის“ დაჭერის დროს ბათუმში და 8 დღე დაუყვია ციხეში. მან გამოგვიცხადა, რომ ჩვენ დაჭერილები ვიყავით და არ გაგიშვებთო, ამით ჩვენ კარგი სილა ვაჭამეთ გეგეჭკორს და მის კომისარიატსო, რადგან თქვენ მათი დამცველი ხართო. მთელი ოთხი საათი შტაბში გაგვაჩერეს, ყველა დაცინვით გვეუბნებოდა: თქვენ ხართ კავკასიელები—მენშევიკები კალედინის მომხრე და უსათუოდ სიკვდილით უნდა დაგსაჯოთო. შემდეგ მოვიდა ათი ცხენოსანი „კონვოი“, რომელთაც ტუაპსეს კომენდანტი ხელმძღვანელობდა და წაგვასხეს ციხეში, ჩვენ შეგვყარეს ჯიბგირებთან. ერთ პატარა მტვრიან ოთახში, სადაც სიმრავლის გამო ფეხზე გვიხდებოდა დგომა. დასაჯდომი ადგილიც კი არ იყო. ციხეში დავყავით 5 დღე. მოპყრობა ძლიერ სასტიკია. სამ დღეში ერთხელ იძლევიან სულზე გირვანქა ნახევარ პურს, სხვას არაფერს. ქალაქში ჩვენზე ხმა გავარდნილიყო: ქართველი კადეტები დაიჭირესო, დახვრეტას უპირებენო. ეს გაეგოთ ტუაპსეს ქართველ მცხოვრებთ და შეეცადენ საქმის გამოძიებას. ჯერ მათ დეზერტირები ვეგონეთ, მაგრამ როცა გაიგეს საქმის ნამდვილი შინაარსი, დიდი დახმარება გაგვიწიეს. მათ ყოველივე ზომა მიიღეს ჩვენს დასახმარებლათ, მაგრამ ბალშევიკების „მთავრობამ“ მათ ყურადღება არ მიაქცია. ამ დროს რუსეთიდან გზათ ჩამოიარა ქართულმა სანიტარულმა რაზმმა, რომელსაც საქართველოში მოქონდა მედიკამენტები ჯარისთვის. მათ რიცხვში იყო პოდპორუჩიკი პლატონ ლეჟავა, რომელსაც საგანგებო მონდობილობა ჰქონია ბალშევიკებისაგან, რათა საქართველოში შეადგინოს პარტიზანული რაზმი სეიმის წინააღმდეგ და შესაფერი დოკუმენტებიც თან ჰქონია. ტუაპსეს ქართველებმა მას სთხოვეს, რომ თავისი გავლენით ჩვენ დავეხსენით. მან ეს თხოვნა შეიწყნარა და მეორე დღეს მოვიდა ციხეში ჩვენთან. ჩვენ აუხსენით ჩვენი მდგომარეობა და ვსთხოვეთ დახმარება. პლ. ლეჟავამ ჩაიწერა ჩვენი სახელი და გვარი და აგრეთვე რომელ პარტიას ვეკუთვნოდით. ჩვენ ვუთხარით, რომ უმრავლესობა ს. ფედერალისტები ვართ და სამი ბალშევიკითქო. დაიწერეს ეს და შეგვპირდა გამოშვება, მხოლოდ პირობა ჩამოგვართვა, რომ მის პარტიზანულ რაზმში ჩავეწერებოდით, მისმა პროტექციამ გასჭრა და ჩვენ მეორე დღესვე გამოგვიშვეს. გამოშვებისას დიდი დახმარება გაგვიწია იოსებ გიგინეიშვილმა, რომელმაც მოგვცა ბინა და ხარჯი სანამ ტუაპსედან წამოვიდოდით, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია!

ტუაპსეში დავრჩით ერთი კვირა. პლ. ლეჟავა ჩვენთან ყოველ დღე მოდიოდა და გვიხსნიდა თავის პროგრამას (ბალშევიკურს), ისე თავს მემარცხენე ფედერალისტს უწოდებდა. შემდეგ მოვიდა გემი და ყველანი წამოვედით სამშობლოსაკენ, გამოვიარეთ სოხუმში, გემი გააჩერეს პორტიდან ერთი ვერსის მოშორებით. გემზე მოვიდენ სოხუმის მთავრობის გამოგზავნილი გვარდიელები—აფხაზები და მეგრელები დაახლოვებით 14 კაცი, რომლებმაც ჩვენ გაგვჩხრიკეს და ვისაც იარაღი ჰქონდა წაართვეს. აგრეთვე თან გადაიტანეს მთელი მედიკამენტები, რომელიც რუსეთიდან მოქონდათ. სანიტარული რაზმი ბევრი ეხვეწა, რათა მედიკამენტები არ წაერთმიათ, მარა ვერას გახდენ. მედიკამენტებთან ერთად დარჩა აგრეთვე სანიტარულ რაზმის უფროსი ექიმი. სოხუმის ახლოს მთელი ორი დღე ვიყავით და დიდი განსაცდელი გამოვიარეთ. ლეჟავა და სხვები გადავიდენ სოხუმის შტაბში „პროპუსკების“ ასაღებათ. შემდეგ ჩვენ ცამეტივე მიგვიხმეს შტაბში, სადაც თავმჯდომარეობდა პლატონ ლეჟავა და მდივანათ იყო ვლ. ბახტაძე—(предсѣд. боевого комитета). ამათ აგვიხსნეს სოხუმის გარემოება და გვთხოვეს ჩვენგან 4 კაცი სოხუმში დარჩენილიყო ინსტრუქტორებათ, ვინაიდან აფიცრები ნაკლებათ ყავდათ. ჩვენ ყველანი უარზე ვიყავით, მაგრამ ბოლოს იძულებული გავხდით და კენჭის ყრით შეხვდა დარჩენა 4 კაცს: ლეონ. ბარბაქაძეს, ელ. ხონელიძეს, ვლ. ჩიქოვანს და ვალ. ჩეჩელაშვილს. ვინაიდან ხალხი ბლომათ იყო სოხუმიდან წამომსვლელი, რომელთაც სურდათ გემით ფოთში წამოსვლა, ამ ოთხიდან ორმა—ხონელიძემ და ჩეჩელაშვილმა მოახერხეს იმავე გემით გამოპარულიყვნენ. ორი კაცი—ჩიქოვანი და ბარბაქაძე დარჩენ სოხუმში. აღდგომის წინა დღეს ეს უკანასკნელი ორიც ფარულად იშოვეს „პროპუსკი“ და წამოვიდენ ფოთისკენ. ამით გათავდა ჩვენი მოგზაურობა.

რა ხდება ტუაპსეში: მთავრობა არავითარი არ არის. ძაღლი პატრონს ვერ ცნობილობს, რუსები ძლიერ სდევნიან ქართველებს. ადგილობრივ ქართველებს გადაწყვეტილი აქვთ ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ თავიანთ სამშობლოს როგორც ფულით, ისე სურსათით და კაცით, მაგრამ ბალშევიკები არ უშვებენ. მენშევიკების ორგანიზაცია იქ მოუსპიათ. აფიცრებს იჭერენ და ბარჟებში ამწყვდევენ. რამდენიმე დღის შემდეგ მშიერ დაქანცულებს გაიყვანენ „გარნიზონის ბარჟაში“ გახდიან ტანისამოსს, გულზე ქვას ჩამოკიდებენ და წყალში გადააგდებენ. ამბობენ, მათი მსხვერპლი გამხდარა 300—400 კაცამდე. ეს ტუაპსეში.

ეხლა სოხუმში: მთელი სოხუმის ვაჭრობა და მრეწველები გახიზნულან სოხუმიდან. სოხუმიდან გასულან მშვიდობიანი მცხოვრებნიც. დარჩენილან მხოლოდ ისინი, ვისაც წასვლა ვერ მოუხერხებია და ზიზღით უყურებენ ბალშევიკების მთავრობას. ბალშევიკების მთავრობა კი დაახლოვებით შემდეგია: ქალაქის მმართველი არის აფხაზი—ეშბა, ჯარის უფროსი ვლ. ბახტაძე (პოდპორუჩიკი). პორტის კომისარათ არის სტუდენტი მიქაძე, რომელიც ჩვენთან მოგზაურობდა და სოხუმში დარჩა. ჯარი მათ ყავთ დაახლოვებით 1000 კაცამდე. შეიარაღებული კი მხოლოდ 300. ესენი შესდგებიან აფხაზებისაგან, მეგრელებისაგან და სომხებისაგან. სამხარ მასალებს და სურსათს იძენენ გზაში მიმავალ მგზავრებისაგან, რომელთაც, როგორც ეს ჩვენ გვიყვეს, სძარცვავენ. არე-მარე სოფლებიდან მოსდით ცნობები, რომ დღე დღეზე უნდა მოელოდენ ბერძნებისაგან თავდასხმასო. ბერძნებში, როგორც სჩანს, მენშევიკური მიმართულება ბატონობს და შეიარაღებული ძალაც ყოლიათ დაახლოვებით 500 კაცამდე. აგრეთვე დიდი შიში აქვთ, რომ ჯუღელის და კონიევის რაზმი მოდის და სოხუმს აიღებენო. დიდ როლს თამაშობენ რევოლიუციონურ კომიტეტში სევ. კუხალეიშვილი, ჯარების კომისარი სამს. კირტავა. ასე დამთავრდა ჩვენი საპატიო ყარაულის ისტორია. ჩვენთან იყვენ შემდეგი პირები: პორუჩ. კერვალიძე (რომელიც ჩვენი უფროსი იყო) პრაპორჩიკები: შარტავა, კუხალეიშვილი, კაკუზაია, ყიფიანი, ფირანოვი, ახობაძე, სურგულაძე.

ამასთანავე მადლობას ვუძღვნით ტუაფსეს ქართველობას, განსაკუთრებით იოსებ გიგინეიშვილს, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია და რომელმაც თავს იდო და შეგვიგროვა 1400 მანეთი, რომელიც გადასცა ბ-ნ პლ. ლეჟავას და რომელსაც ჩვენამდე არც კი მოუხწევია; აგრეთვე მადლობას მოვახსენებთ ბ-ნ ლეჟავას, რადგანაც მისი წყალობით ჩვენ ცოცხლები გადავრჩით, რაც შეეხება მის რაზმში ჩაწერას და სეიმის წინააღმდეგ წასვლას, ნურას უკაცრავათ, რომ ვერ შევასრულოთ.

კარგი იქნება თითონაც რომ აიღებდეს ხელს თავის განზრახვაზე.

ორი მათგანი.

## გზა და გზა

I

თფილისიდან გურიისაკენ.

14 აპრილს ღამით გავემგზავრეთ გურიისაკენ სეიმის წევრ ამხ. ის. რამიშვილთან ერთად.

მატარებელში მგზავრები მომენტის შესახებ მსჯელობდენ,—ზოგი იმედიანათ და ზოგი უიმედოთ...

სამტრედიაში ამხანაგებმა გვიამბეს გურიის ამბები, გადმოგვცეს ოზურგეთის დარბევის შესახებ ცნობები და იქვე გავიგეთ, რომ ვაშნარში ბრძოლის დროს ბევრი ამხანაგები დაღუპულან...

ბათუმში დაღუპულთა ვინაობაც ჯერჯერობით სავსებით გამორკვეული არ არის. გავიგეთ მხოლოდ—იმ პირებს გარდა, რომლებიც აღნიშნული იყო, მოუკლავთ ახალგაზრდა პარ. მ. კოპალეიშვილი.

თვით სამტრედიაში ნორმალური ცხოვრება თავის საზღვრებიდან ამოვარდნილა და ამ ჟამათ სამტრედია წარმოადგენს სამხედრო ბანაკს. სადგურში შევხვდით გადმოხვეწილებს ბათუმიდან, გურიიდან და სხვა ადგილებიდან. სამტრედია ლტოლვილთა თავშესაფარათ გადაქცეულა. სურსათის კრიზისია და ამ მხრით განსაკუთრებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ხალხი.

სამეგრელოში მომხდარი ამბები ცუდ გავლენას ახდენდა სამტრედიის ხალხზე და ასეთ გამოსვლებს თვლიდენ ნამდვილ მოღალატურათ.

სამტრედიაში მისვლისას ჩვენ გავიგეთ, რომ წინა დღით სამტრედიაში, კინაღამ შეტაკება მომხდარიყო გორის და ადგილობრივ რაზმებს შორის, საქმე ასე ყოფილა: გორის იმ რაზმმა, რომელმაც თავისი გმირული ბრძოლით სახელი გაითქვა ნატანების ფრონტზე, უკანასკნელ ბრძოლის დროს, დროებით მშვიდობიანობის ჩამოგდების შემდეგ, თავის ნებით მიატოვა პოზიცია. სამტრედიაში რაზმს მოსთხოვეს ან ისევ პოზიციაზე გაბრუნება და ან იარაღის დატოვება. ამან გამოიწვია უკმაყოფილება და საქმე სროლამდე კინაღამ მისულიყო. ბოლოს გორის რაზმი დასთანხმდა იარაღის დატოვებაზე და სიტყვაც დასდო რაზმმა (150 კაცი), რომ 4 დღეში მოვლენ სამტრედიაში და იქიდან გასწევენ ფრონტზე.

ამხ. ის. რამიშვილი სამტრედიაში მდგომარეობის გასაგებათ ფრონტის მთავარ შტაბში შევიდა. იქ გამოირკვა, რომ ამ ჟამათ განსაკუთრებულ ყურადღებას არ იქცევს ზეკარის უღელტეხილი, სადაც მაგრდებიან ახალციხე-არტაანიდან თათრის ჯარები და აწარმოებენ დაზვერვას.

მთავარ-სარდლის გაბაშვილის განცხადებით გენ. არჯევანიძე თხოულობს დახმარებას, მხოლოდ გაბაშვილს ახალციხე-ბორჯომ ზეკარის უღელტეხილზე გაგზავნილი ნაწილები საკმარისათ მიაჩნია, არამც თუ თავდასაცველათ, არამედ შეტევისათვის..

ვერ ყოფილა აგრეთვე მოწყობილ-მოწესრიგებული სანიტარული საქმე.

უფროს ექიმის ჩვენებით ცუდათ იქცევიან ზოგიერთი ექიმები: დანიშნავენ, მოდიან და ისევ თავის ნებით სტოვებენ სამსახურს და გარბიან. განსაკუთრებით ხელს უშლის მოქმედებას ის, რომ სანიტ. რაზმს ცხენები არა ჰყავს და არც არავითარი ზომები ყოფილა ცხენების შესაძენათ მიღებული. ამის გამო ფერხდება დროზე დაჭრილთა დახმარება და მათი გადაყვანაო.

ამის შესახებ ის. რამიშვილმა მიიღო ზომები.

ჩვენზე აგრეთვე ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა ამხ. ფ. რამიშვილის განცხადებამ, რომ მობილიზაცია ცუდათ მიდისო.

შუადღისას სამტრედიიდან გავემგზავრეთ საჯაოხოსაკენ. საჯაოხოც სამხედრო ბანაკს წარმოადგენს. იქვე დაგვხვდა რკინის გზის დამცველი ჯარი და ყველანი საერთო მდგომარეობაზე გვეკითხებოდენ. ამხ. ისიდორეს მათ განუცხადეს, რომ ძლიერ გაჭირვებას განიცდიან ამუნიციის მხრით—აკლიათ შინელები და განსაკუთრებით ჩექმებს მოითხოვდენ. საერთოთ სულიერი განწყობილება კარგი იყო.

ნახევარი საათის შემდეგ გავსწიეთ ჩოხატაურისაკენ. დღე მოწყენილი იყო, ცივოდა, ქარიც ქროდა და წვიმდა. გზები სრულიად წამხდარია. რამოდენიმე ვერსის მოშორებით ქუჩაზე მომდგარი მოხუცი ქალის ტირილი მოგვესმა, ჩვენ შეკითხვაზე იქვე მდგომ მოხუცმა კაცმა გვიპასუხა—შვილი მომიკლეს და იმიტომ სტირისო.

გავშორდით თუ არა კიდევ რამოდენიმე მანძილი, წინ რამოდენიმე ურმები სავსე ბავშვები, ქალები, წვიმისაგან სრულიად დასველებულნი შემოგვეგება. მათი სევდიანი და დაღონებული სახეები ადამიანს დააფიქრებდა... ისინი შემოგვეხვივნენ, გვეკითხებოდენ...

გამოქცეულები იყვენ სოფ. მაკვანეთიდან, სადაც ამ ჟამათ ოსმალეთის ჯარი დგას. იმათ გვიამბეს:—ძლივს გამოვასწარით. კაცები ომშია. ჩვენი ოჯახები დაანგრიეს, გაძარცვეს, ყველაფერი დაიტაცეს...

მშვიდობიანი ხალხიც დახოცეს, მათ შორის 80 წლის მოხუცი კ. ჟორჟოლიანი და მღვ. შარაძეც მოჰკლეს. თავდასხმა მოულოდნელათ მოხდა, ასე რომ, ბევრი ბავშვები უგზო-უკვლოთ დაიკარგა. ჩვენს შეკითხვაზე—თუ საით მიდიან, მათ გვიპასუხეს: აქ შიმშილით ვიხოცებით და მივდივართო...

გზა და გზა ჩვენზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა ქუთაისიდან პოზიციისაკენ მიმავალი არტილერია, რამდენიმე ზარბაზნით. არტილერისტების უმრავლესობა შესდგებოდა მოსწავლე ახალგაზდობისაგან. ისინი გატალახებულ შარა გზაზე, წვიმისაგან დასველებულნი მხიარულად მიეშურებოდენ, მათი სახეები აშკარათ ამტკიცებდა, რომ ეს ახალგაზდები ღირსეულათ აასრულებენ მოვალეობას სამშობლოს წინაშე. მათი საუბარი ამას ამტკიცებდა. ზარბაზნები ქუჩაში შეკრებილ ხალხზე კარგს გავლენას ახდენდა. სოფლებიდან ქალები, ბავშვები, მოხუცები ქუჩაში გამორბოდენ და ათვალიერებდენ არტილერიას. გაისმოდა ძახილი:—ზარბაზნები მოდის, ზარბაზნებიო! საინტერესო იყო პატარების ძახილი:—ზარბაზანი მოაქვთ, თათრებს დაუშინენო. ცხადია, ხალხი ერთად ერთ შველას, დახმარებას, ხსნას ხედავდა იარაღში და სულიერი მათი განცდაც ამას ამტკიცებდა. ზარბაზნის დანახვაზე ყველას ღიმილი ეტყობოდა, ყველას გაბედულება ემატებოდა.

საღამო ხანი იყო, როცა ჩოხატაურში მივედით. აქაც გადმოხვეწილები, აქაც არაჩვეულებრივი პირობები შექმნილიყო. ქალაქში სრული წესიერება დაგვხვდა, საქმიანობა და მოძრაობა იყო გაჩაღებული. ზოგი ფრონტისაკენ მიდიოდა სურსათით. ზოგი იქიდან მოდიოდა შტაბში.

მოხუც ისიდორეს დანახვამ ამხანაგები აალფრთოვანა, მას ეკითხებოდენ ამა თუ იმ საკითხებზე.

ჩოხატაურში ჩვენს ჩასვლის ნახევარი საათის შემდეგ ფრონტიდან ურმით მოიყვანეს დაჭრილი ოსმალო ჯარისკაცი ვინმე ოსმან-ოღლი. ურემს ხალხი შემოხვეოდა. მართალია, ზოგიერთი ხალხში გაიძახოდა უსიამოვნო სიტყვებს მის წინააღმდეგ, მაგრამ ხალხი მას სიბრალულის თვალით დაჰყურებდა. მეომარი თათარი, მძიმეთ დაჭრილი კარგათ გამოიყურებოდა, მისი სახე ამტკიცებდა, რომ უბრალო ვინმე არ იყო, დაზვერვის დროს ჩავარდნოდათ ჩვენებს ხელში. ტყვე საავათმყოფოში მოათავსეს. ჭრილობა შეუხვიეს და კარგათაც მოეპყრენ.

საღამოს 8 საათზე სკოლის დარბაზში გაიხსნა საგანგებო კრება. ეს კრება იყო დამახასიათებელი და გამოხატულება მთელი ადგილობრივ მდგომარეობის. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ისიდორემ, მან დაწვრილებით აუხსნა ხალხს თანამედროვე მომენტის მძიმე პირობები, რუსეთის ამბები, საზავო დელეგაციის მოქმედება და ამიერ-კავკასიის დღევანდელი ვითარება. ილაპარაკა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ და ამ უდიდეს აქტის ძირითად მიზეზებზე. ორატორი შეეხო რა ამ საკითხის ისტორიას დაასკვნა: ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება და ჩვენმა პარტიამ ხელი უნდა შეუწყოს ამ მძიმე მომენტში ქვეყნის დახსნას და თავისუფლების გადარჩენასო. საფრთხე საიდანაც არ უნდა იყოს, უნდა ავიშოროთ და მოზღვავებულ უბედურებას პასუხი გავსცეთო. მოხსენების შემდეგ დაიწყო ამხანაგების მიერ გურიის ამბების შესახებ ახსნა-განმარტება და ბევრი საინტერესო ცნობები გადმოგვცეს, ბევრი რამ გამოირკვა, ბევრ რამეს აეხადა ფარდა.

დასკვნა ასეთია: ბათუმის დაცემის შემდეგ საერთო ძალთა განწყობილება შეცვლილა. პროვოკატორებს უსარგებლიათ ამ მოვლენით და თავიანთი ბინძური სურვილების მისაღწევად ხალხში ათასგვარი ჭორები გაუვრცელებიათ. შავრაზმელები და ბნელი ძალები წელში გამართულან, ხულიგანები თავიანთ „მოღვაწეობას“ შეუდგომიან.

აღსანიშნავია აგრეთვე ის მოვლენა, რომ ხალხში ძლიერ გავრცელებულია ხმა მეოთხე პოლკის უფროს ქარციველის შესახებ, რომელიც ბათუმის ომის შემდეგ აღარც სჩანს. არა ნაკლებ უკმაყოფილო არიან პოდპოლკოვნიკ წერეთელით, რომელიც ოზურგეთის გარნიზონის უფროსი ყოფილა და რომელსაც ჰქონია დაკისრებული დაცვა ოზურგეთისა. ოზურგეთის დაცემის ისტორია აიხსნება ბევრი მიზეზებით, მხოლოდ ერთ მიზეზათ კი ჩაითვლება წერეთელი.

ბათუმის დაცემის შემდეგ ოზურგეთს დიდი ყურადღება უნდა მიქცეოდა, მაგრამ ოზურგეთის ფრონტი სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილა და არ ვიცით რით აიხსნება იქ წერეთლის ასეთი მოქმედება. გამოირკვა, რომ ოზურგეთის გამაგრების შესახებ არავითარი ზომები არ მიუღიათ წინდაწინ წერეთელს, პირიქით, ტალახას პოზიციაზე „რეზერვიც“ შეუსუსტებია და ხალხს არწმუნებდა, რომ არავითარი თავდასხმა არ მოხდებაო. არ ღებულობდა ზომებს ჯარის გადაჯგუფება-დარაზმვისათვის და თითქმის არცკი ფიქრობდა ბრძოლის მოახლოვებას. პირიქით, ხალხს აჯერებდა: არაფერი არ მოხდებაო. ოზურგეთის აღების წინა დღეს ხალხი არაფერს არ გრძნობდა, არ ელოდენ ოსმალთა შემოტევას და მთავარი სიმაგრე ოზურგეთის—ექადია-ანასეულის მაღლობები გაუმაგრებელი ყოფილიყო და ასე წარმოიდგინეთ, დარაჯებიც კი არ ყოლოდა. ამავე დროს ე. ი., აღების წინა დღით, პოდ. წერეთელს გამოუკრავს ქუჩებში შემდეგი განცხადება: „ოზურგეთის და მაზრის მშვიდობიან მცხოვრებთ განმეორებით გაცნობებთ, რომ მიღებულია ენერგიული ზომები მცხოვრებთა დასაცველათ, უზრუნველ საყოფათ „ჩეტნიკთა“ შემოსევისაგან. გთხოვთ დარჩეთ თავიანთ ადგილზე, შეუდექით მშვიდობიან მუშაობას და სხვადასხ.“

ცხადია, ასეთმა განცხადებამ, თვით შტაბის დაუდევრობამ ხალხი იმედში ჩააგდო და ამით აიხსნება ის, რომ ოზურგეთიდან ვერ გამოიტანეს ვერც ერთი დაწესებულება და მთელი ხალხი მოულოდნელათ გაეხვია ბრძოლის ქარცეცხლში და ძლივს გაასწრეს: აქვე უნდა ითქვას, რომ როცა ტალახაში სროლა დაწყებულა, ოზურგეთში „პანიკა“ ჩამოვარდნილა და [illegible] მომხდარა.

შტაბის დაუდევრობასთან ერთათ თვითმართველობაც ვერ ყოფილა თავის სიმაღლეზე. დაუტოვებიათ ქალაქი ქალაქის თავს და სხვებს, რასაც ხალხში უკმაყოფილება გამოუწვევია და ამის შესახებ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ყოფილა. კრებაზე გამოირკვა ბევრი სხვადასხვა ფაქტები, მაგრამ ამაზე შემდეგ. აქ კი ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ოზურგეთის დაცემას მოყვა საერთო გამოურკვეველი მდგომარეობის შექმნა და ამით ისარგებლეს ბნელმა ძალებმა და გაავრცელეს ხმა: გაგყიდეს მეთაურებმა, გიღალატა მთავრობამ და სხვა. დაიწყეს ქადაგება სეპარატიული ზავის შესახებ.

ოზურგეთის დამარცხების შემდეგ ჯარის უფროსი წერეთელი მობრძანებულა ჩოხატაურში და შემდეგი გამოუცხადებია: ჩვენ დავმარცხდით, არ შეგვიძლია ბრძოლი, შევურიგდეთ თათრებს, მოიტანეთ ყველა იარაღი აქვე და სხვა. თვითონ კი მიისწრაფოდა თურმე სამტრედიისაკენ, მაგრამ გენერალ გაბაშვილს უბრძანებია მისთვის ნასაკირალზე გამაგრება და ისიც დამორჩილებია. მის ასეთ გამოსვლას მღელვარება გამოუწვევია, ხალხი გამორკვეულა, მთელი ძალები შეკრებილა და გაქანებულა ნასაკირალისაკენ. ბევრ საზოგადოებებში მოულოდნელ ამბების გამო ერთგვარი ძალთა განწყობილება შეცვლილა, მხოლოდ ჩოხატაურის რაიონში მდგომარეობა ჩვეულებრივია, ორგანიზაციებიც მოქმედობს, კომიტეტები და სხვა. ყველა ამ მოხსენების შემდეგ კრებამ მოიწონა ამიერ-კავკასიის ს. დ. სეიმის ფრაქციის და საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილება და დაადგინა ენერგიულათ ხელი შეუწყონ ქვეყნის დაცვას.

მეორე დღეს ნაშუადღევს გაიმართა ჩოხატაურში სახალხო კრება. კრებას ამხ. ისიდორემ გააცნო საერთო მდგომარეობა, აუხსნა ყველაფერი. ხალხი გულდასმით უსმენდა მოხუც ამხანაგს და კმაყოფილი დაიშალა.

6 საათზე გაიმართა საგანგებო თათბირი განსაკუთრებულ საკითხის შესახებ, რომელსაც დაესწრო თფილ. ახალ ჩამოსული რამოდენიმე გვარდიელი.

ღამე მყუდრო და მოწმენდილი იყო. ახლათ ჩამოსული ახალგაზდა არტილერისტების ახალი სამარი და ტკბილი სიმღერა არღვევდა ღამის მყუდროებას. 17 აპრილს დილით ადრე ერკეთისაკენ გავეშურეთ.

ანანია.

## სად.-მამულო რეფორმა

მანგლისის რაიონი (თფილისის მაზრა). 22 მარტს გავემგზავრეთ თფილისიდან აღნიშნულ რაიონში მიწის რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლათ. აქ რაიონული კომიტეტი და გამგეობა მოწყობილი დაგვხვდა ვ. ბერიძის თავმჯდომარეობით. ჩვენ შევადგინეთ სასოფლო კომიტეტები, აგრეთვე მოვაწყვეთ კრებები და მიტინგები მანგლისში, დიდ თონეთში, პრიუტში, პატარა თონეთში, გოლოვანში და სხვა მახლობელ სოფლებში. ხალხი საშუალოთ ესწრებოდა კრებებს. ჩვენი ლაპარაკის თემა იყო: მიწის კანონის განმარტება, მობილიზაცია და მთავრობის შეხედულება მიმდინარე მომენტზე. ახსნა-განმარტების და შეკითხვების შემდეგ ღებულობდენ რეზოლიუციებს, რომლითაც უცხადებდენ ამიერ-კავკასიის სეიმს ნდობას და სხ. საუბედუროთ, როცა დაიშლებოდენ კრებიდან ზოგიერთ კითხვებს ისევ თავისებურათ სჭრიდენ ყოფილი ჯარისკაცების დახმარებით. მაგალითად მობილიზაციის შესახებ ამბობდენ: ჩვენ ვიყავით ფრონტზე, ეხლა ჩვენი ფრონტი სახლში გვაქვს, როცა მოვლენ ოსმალები მაშინ შევებრძოლებითო და სხვა. დემაგოგიას დიდი გასავალი აქვს. იყო შემთხვევა, გამოდის ვითომდა ბალშევიკი, ამბობს: რუსეთში მიწის საკითხი უკეთ გადაწყდა, გლეხს აძლევენ მიწას იმდენს, რამდენიც თვითონ უნდა, მიუხედავათ იმისა, დაიმუშავებს თუ არა—არ ყოფნის 10 დესეტინა, აძლევენ 20, ცოტა არის, კიდევ 20 და ასე. ბევრი ამისთანა სისულელეს სინამდვილეთ ასაღებენ. მაგრამ არც გლეხები არიან ისე შეუგნებელნი, რომ ეს ჭეშმარიტებათ მიიღონ. პარტიებს ხალხი იცნობენ მხოლოდ ნომრებით 1, 2, 3, მეოთხეს და ზევით.

მიუხედავათ იმისა, რომ თოფები კარგი ძალი მოიპოვება სოფლათ, ყველა გისაყვედურებს—რატომ არ გვაძლევთო, სხვებს ბევრი მიეცით, ჩვენ რა დავაშავეთო. ვისაც ყოჩაღია შეიარაღებულია, მას შედარებით მიწაც მეტი რგებია. მემამულის მიწები დიდი ხანია გაუნაწილებიათ ერთმანეთ შორის, უკეთ რომ ვთქვათ, ბევრ შემთხვევაში დაუტაცებიათ. ყველა საყვედურობს, ბევრი აქვს თუ ცოტა: მე წამართვეს, მე კიდევ უნდა მომცეთო. ჩვენ გავუმარტეთ: მიწები ერთი წლით გეძლევათ დასამუშავებლათ და არა საკუთრებათ და სხვა, მაგრამ ამაოთ. სოფელი სოფელს ებრძვის, მეზობელი მეზობელს, ამას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მიწის კომიტე-

ტებმა როგორც სარაიონო, ისე სასოფლომ. ჩვენ იმედი გვაქვს მათ გადაწყვეტილებას გლეხებიც დაემორჩილებიან, ყველა მიწას მოითხოვს: ჩვენც ვხნავდით. მაგალითად დიდი უმეტესობა ვაჰრების, ვაჭრობა არა გვაქვს, გლეხებმა კოოპერატივები გახსნეს, რაც დაგვაკლდა მიწით უნდა ავინაზღაუროთო, საცხოვრო საშუალებაა, მაგრამ გლეხებმა კარგათ იციან ვინ არის მიწის მუშა.

ეს რაიონი კულტურულათ ძალიანი ჩამორჩენილი კუთხეა. არც ერთი წიგნთსაცავ-სამკითხველო, შკოლაც იშვიათია, არც ერთი ინტელიგენტი. სამაგიეროთ სიმთვრალე ზედმიწევნით განვითარებულია. არის ისეთი სოფლები, სადაც ვინც ბევრს სვამს საქმის კაცათ მიაჩნიათ, კომიტეტიც ის არის როგორც თვითონ ეძახიან არჩეულ კაცს. ტყეები იჩეხება. მიიღო გამგეობამ ზომები. ზოგიერთ შემთხვევაში მიაღწიეს მიზანს ე. ი. შეაჩერეს. უმეტესობა მილიციონერებისა ძალიან შექცევიან ღვინოს, რის მიზეზით ასეთები უფრო აფუჭებენ საერთო საქმეს. მემამულეები ყველა გაქცეულა. მათი ბაღები და სახლები ბევრ შემთხვევაში აოხრებულია. გლეხები მოითხოვენ არსებულ კანონს თავისი აღმასრულებელი ძალით. მათრახსაც არ დავიწუნებთ თუ საჭირო დარჩაო. აგრეთვე იარაღი აეყაროს ყველასო, რადგანაც მონებათ გადაგვაქციესო. მეზობელი მეზობლის ბატონია, შვილი მამის და სხვა იარაღის წყალობითო, ამას ამბობენ უფრო შუახნის გლეხები. ჩვენი შეხედულებით ეხლავე უნდა იქნას ზომები მიღებული ე. ი. არსებული კანონი თავისი აღმასრულებელი ძალით უნდა მიეწოდოს სოფელს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ექცესებიც.

რწმუნებულები ლ. ბერიტაშვილი, ს. თევზაძე.

# მუშათა შორის

**პროფ. კავშირების დანიშნულება.** დიდი ხნის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ რუსეთის მუშათა კლასმა 1905 წელში პირველათ ჩაუყარა საძირკველი რუსეთში პროფესიონალურ კავშირებს, რომელიც დღითი დღე მრავლდებოდა და 1907 წლის დასაწყისში უკვე რამოდენიმე ასეული კავშირები ითვლებოდა, რომელშიაც შეკავშირებული იყო ოთხასი ათასამდე მუშა, მაგრამ რევოლიუციის დამარცხებამ და რეაქციის გაძლიერებამ პროფესიონალური კავშირები დაანგრია და მსოფლიო ომის დაწყების წინ მათი რიცხვი რამოდენიმე ათეულით განისაზღვრებოდა. ომის გამოცხადებამ რეაქციონურ მოძრაობას კიდევ უფრო მაგარი ფრთები შეასხა და ომამდე დარჩენილ პროფესიონალურ კავშირებს მოქმედება შეაწყვეტინა.

იფეთქა თუ არა თებერვლის დიდმა რევოლიუციამ, მანამდე დაქსაქსული რუსეთის მუშათა კლასი, რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე შეუდგა კავშირების მოწყობას.

თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოების ხანაში, პროფესიონალური კავშირები მუშათა კლასისათვის ის ბასრი იარაღია, რომლის საშუალებით მან უნდა გაიუმჯობესოს თავისი ეკონომიური პირობები. პროფესიონალური კავშირების პირდაპირი დანიშნულებაა მუშათა კლასის დარაზმვა წმინდა კლასიურ ნიადაგზე, რომ ამ გზით შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიონ პროლეტარიატის ისტორიულ მტერს—კაპიტალიზმს. ყოველგან პროფესიონალური კავშირები წარმოადგენენ უპარტიო ორგანიზაციას, სადაც თავს იყრის და კავშირდება ყველა მუშა განურჩევლათ მისი პარტიული მსოფლმხედველობისა. და როგორც ასეთი, პროფესიონალურ კავშირებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს პარტიულ და ფრაქციულ განხეთქილებას, რომელიც ძალზე ასუსტებს კავშირების ძალა-გავლენას და მით მუშათა კლასს ხელს უშლის ორგანიზაციულათ გამოვიდეს მოწინააღმდეგესთან საბრძოლველათ. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა ყველასათვის.

საუბედუროთ, ეს ჭეშმარიტება დღემდისაც ვერ შეუგნია ჩვენებურ ბალშევიკებს. ბალშევიზმის თანდაყოლილი სენია მუშათა კლასში განხეთქილების შეტანა, დაქსაქსვა-დანაწილება. ამის მაგალითები ერთობ ბევრია არა თუ მარტო პოლიტიკურ კითხვებში, არამედ ეკონომიურშიაც. პოლიტიკურ ნიადაგზე მუშათა კლასში განხეთქილების შეტანის მაგალითების ჩამოთვლა ამ წერილის მიზანს არ შეადგენს. მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო პროფესიონალურ კავშირებში ბალშევიკების მოღვაწეობაზე, სადაც უნდა სწყდებოდეს ეკონომიური საკითხები. მაგალითისათვის მოვიყვან თფილისის ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირს, რომელმაც მოქმედება დაიწყო რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე. ხსენებულ დარგის მუშები, სდგანან ეკონომიურ საკითხებში წმინდა კლასიურ ნიადაგზე, პროფესიონალურ კავშირის გამგეობის არჩევნებში ხელმძღვანელობენ არა პარტიული და ფრაქციული სხვადასხვაობით, არამედ—საქმისთვის უფრო სასარგებლო პირების არჩევით.

ამ ერთი თვის წინეთ ხსენებულ კავშირში მოხდა გამგეობის ხელ-ახალი არჩევნები, სადაც ბალშევიკები თავიანთი დაბეჭდილი სიით გამოვიდენ. მიუხედავათ მათი წინასწარი მზადებისა, საზოგადო კრებამ დაფარული კენჭის ყრით ხსენებული სია გააშავა. ამ რიგათ, გავიდა ჩვენს მიერ იმავ კრებაზედ შემუშავებული სია 15 კაცისაგან შემდგარი. ხსენებულ სიაში არჩეულ იქნა ორი ბალშევიკი. ამასთანავე ბალშევიკების მიერ წარმოდგენილი სიიდან კანდიდატებათ გავიდა სამი ბალშევიკი. გამგეობის პირველ კრებაზევე ერთმა ბალშევიკმა გამგეობაში მუშაობაზე უარი განაცხადა და გამგეობის წევრობას თავი დაანება. მას მიყვა მეორე ბალშევიკიც, თუმცა მას გამგეობისთვის არავითარი განცხადება არ წარუდგენია, თუ რისთვის ანებებდა თავს მუშაობას. მათ ადგილზე მოწვეულ იქნა კანდიდატები, მაგრამ იმათ გარდა ერთისა, რომელიც მენშევიკია, მუშაობაზე უარი განაცხადეს და ამ რიგათ გამგეობას ბოიკოტი გამოუცხადეს. გამგეობიდან გავიდენ აგრეთვე ორი ჩვენი ამხანაგები, რომლებიც რუსეთში გაემგზავრენ. ამ რიგათ, გამგეობის კრებებზე კვორუმის შეკრება შეუძლებელი შეიქნა და გამგეობა იძულებული გახდა დაენიშნა გამგეობის დამატებითი არჩევნები, რომელიც უნდა მომხდარიყო 8 აპრილის კრებაზე, მაგრამ დროის უქონლობის გამო ვერ მოხერხდა. ბალშევიკებმა, ხსენებულ კრებაზე გამგეობის ხელ-ახალი არჩევნები მოითხოვეს და მიზეზათ იმას ასახელებდენ, რომ წინა კრებაზე, რომელზედაც მოხდა გამგეობის არჩევნები, ერთს ჩვენს ამხანაგს შეურაცხყოფა მიაყენეს, რომელიც სიაში იყო შეტანილი და ამისათვის არ გავიდა ჩვენი სიის კანდიდატებიო. თუ რამდენათ შეეფერება მათი განცხადება სინამდვილეს, ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან ერთ მაგალითს: ბალშევიკი ბერგმანი შეტანილი იყო როგორც მათს სიაში, აგრეთვე ჩვენს სიაშიაც, რომელმაც მიიღო 192 ხმა, მაშინ, როდესაც სხვა ბალშევიკებმა მიიღეს 95, 90, 80 და ნაკლები ხმები. ასე რომ, მტკიცება იმის, თითქოს ერთმა ამხანაგის შეურაცხყოფამ მთელი პარტია შეურაცხჰყოფო არ შეეფერება სინამდვილეს. ამასთანავე მათი ზნეობრივი მოვალეობა მოითხოვდა თუ გინდ ერთი კაციც რომ ყოფილიყო გამგეობაში, უნდა ემუშავნა სხვებთან ერთად, რადგანაც კავშირის წევრებმა ის გაგზავნა იქ არა პარტიული საქმეების გასასწორებლათ, არამედ ეკონომიური საკითხების მოსაგვარებლათ. მაგრამ ჩვენებურ ბალშევიკებს საერთო მუშათა ინტერესებზე უფრო აინტერესებს თავიანთი პარტიული ანგარიშები და რაკი დაინახეს, რომ გამგეობაში უმცირესობაში დარჩენ და თავიანთ ბნელ საქმეებს ვერ მოაგვარებდენ, ფეხ-ქვეშ გასთელეს მუშათა საერთო ინტერესები და გამგეობაში მუშაობაზე ხელი აიღეს. და როდესაც დამატებითი არჩევნებზე დადგა კითხვა, ხელ-ახალი არჩევნები მოითხოვეს, მიუხედავათ იმისა, რომ მოკლე დროის მენშევიკურ გამგეობის მუშაობაში ვერავითარი ბ ეჭენზიები ვერ შეიტანეს. ჩვენ, რასაკვირველია, წინააღმდეგი არა ვართ, და ყოველთვის მზათ ვართ მასის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ თუ კი ის არჩევნების ხელახლა მოხდენას მოითხოვს, მაგრამ ნურას უკაცრავათ თუ ორიოდე პარტიული ფანატიზმით გამსჭვალული ბალშევიკების მოთხოვნილება ვერ დავაკმაყოფილოთ. მომავალ ბეჭდვითი საქმის მუშათა საზოგადო კრებაზე კითხვა დაისმება გამგეობის დამატებითი არჩევნების შესახებ, სადაც, თქმა არ უნდა, ბალშევიკები კიდევ გაიმეორებენ თავის მოთხოვნილებას და თუ საზოგადო კრება მათ მოთხოვნილებას კანონიერათ იცნობს და მიიღებს, ერთი რამ არ უნდა დაივიწყონ კავშირის წევრებმა: რომ უკეთუ ბალშევიკები ხელახალ არჩევნებშიც უმცირესობაში დარჩებიან კიდევ თავს გაანებებენ გამგეობაში მუშაობას და მანამდის არ იმუშავებენ, სანამ ისინი უმრავლესობაში არ მოექცევიან. პროფესიონალური კავშირები ბალშევიკებისათვის უფრო პოლიტიკური დაწესებულებაა, ვიდრე ეკონომიური, რადგანაც ეს შეხედულება საუკეთესოთ დაამტკიცა მათმა ამავე კავშირის გამგეობაში რამოდენიმე თვის ბატონობამ, სადაც რამოდენიმე პოლიტიკური ბოროტმოქმედება ჩაიდინეს, რომლის ჩამოთვლა აქ ზედმეტათ მიმაჩნია, მხოლოდ თუ ბალშევიკები ბრალდების დამტკიცებას მომთხოვენ, მზათ ვარ დავუმტკიცო როდესაც უნდათ. თფილისის მუშათა კლასმა და კერძოთ ბეჭდვითი საქმის მუშებმა კარგათ უნდა დაიხსომონ ბალშევიკების „მოღვაწეობა“ მუშათა საერთო ინტერესებისათვის და მომავალში ამ გაკვეთილით უნდა იხელმძღვანელონ.

ს. ცხემლისხიდელი.

# პროვინცია

**ქ. თელავი.** მობილიზაციის საქმე თელავის მაზრაში ძალზე ცუდათ მიდის. საჯარისკაცო პირები დანიშნულ ადგილას არ ცხადდებიან და თუ ესა თუ ის პირი მაინც მიდის, უმრავლესობა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ პოლკის ქონებიდან რამე გაიტაცოს და ისევ შინ დაბრუნდეს. ეს ვაჟბატონები არც ფარავენ თავის განზრახვას და აშკარათ აღიარებენ: „პოლკში იმიტომ ვეწერებით, რომ თოფები მივიღოთ და ისე შინ წავიდეთო. ბევრმა მათ შორის ეს განზრახვა უკვე სისრულეში მოიყვანა და ამ ჟამად პოლკიდან გატაცებული თოფებით შინ ბრძანდებიან. ზოგ სოფლებში აწიოკებაც, დარბევაც კი მოაწყვეს ამ ვაჟბატონებმა. სოფელ ურიათუბანში 11 აპრილს შეიკრიბენ ჯარში წასასვლელი პირები და გადასწყვიტეს სოფლის ჩამოვლა და შემოწირულებების აკრეფა. შემოწირულება სახელად ერქვა, თორემ ის, რაც ჯარისკაცებმა შეაგროვეს ნამდვილი ნაძარცვი იყო.

სულ 160 კაცი უნდა წასულიყო თელავში და ამ 160 კაცმა მოკრიბა სოფელში 8 ცხვარი, ერთი ღორი, ორი ძროხა, 20 ჩაფი ღვინო და 390 მან. ფული. აგრეთვე გამოქონდათ გამომცხვარი პური და სხვ. ჯარისკაცები ყრილობაზე გაყვიროდენ: „ჩვენ ბრძოლის ველზე გვერეკებიან და ჩვენი ცოლშვილი ულუკმაპუროთ რჩებიან სახლში“-ო. აი, ამ მოსაზრებით ვითომც დაარბიეს სოფლის „ბურჟუაძეები“, თითქოს ეს ნაძარცვი მართლაც ვისმეს მშიერს, ან მწყურვალს ერგო. ამ ვაჟბატონების ცოლშვილი ისევ სახლში ისხდენ და მთელ ამ ნადავლს თვითონ შეექცეოდენ. დაითვრენ, გაილეშნენ და რაც მორჩათ, თელავში ამოიტანეს, როგორც ხორცი, ისე პური და ღვინო. თელავშიდაც გალეშილები დაეთრეოდენ ქუჩებში და გაჰყვიროდენ: „წითელი გვარდია ჩვენი მტერია და მივიღებთ თოფებს თუ არა, ჩვენ მაგათ ვუჩვენებთო“. მაგრამ პოლკში მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა, დანარჩენი, შეჭამ-დალიეს თუ არა ნაძარცვი, ისევ უკან გაიპარენ და დღეს სახლში ბრძანდებიან. სამაზრო ადმინისტრაციამ თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მიაქცია ყურადღება და სამი მეთაური ამ ხულიგანებისა დაატუსაღა და ციხეში ჩასვა. მაგრამ ეს ცოტაა და უფრო გადაჭრილი ზომების მიღებაა საჭირო.

13 აპრილს სხდომა ჰქონდა თელავის მუშათა საბჭოს, სადაც გამოტანილ იქნა, გადაწყვეტილება, რომ ის წითელი გვარდიელები, რომლებიც საბჭოს განკარგულებაშია და ჯარში წასვლა უწევს დაუყოვნებლივ გამოცხადდენ პოლკში. მეორე დღეს ეს გადაწყვეტილება ეცნო თელავის გვარდიელებს, რომლებმაც, გარდა მცირედი ნაწილისა, სიხარულით მიიღეს. ამ დღეებში ყველა მათგანი უკვე პოლკში ჩაეწერება. მართალია, ამ ამხანაგების პოლკში ჩაწერით ჩვენი ძალები სუსტდება, როგორც წითელი გვარდიისა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენი ამხანაგები ჩაერევიან ჯარისკაცებში და როგორც უფრო შეგნებული ელემენტები, დისციპლინა წესიერებას შეიტანენ დანარჩენებში. წითელი გვარდიელების პოლკში ჩაწერას ზნეობრივი გავლენაც აქვს, რადგან რევოლიუციის მტრები წითელ გვარდიას ტალახში სვრიან და ყოველ ფეხის გადადგმაზე გაიძახიან: „წითელ გვარდიაში დეზერტირები აფარებენ თავსო“.

მშვიდობით ამხანაგებო! თქვენა ხართ ბურჯი ჩვენი რევოლიუციისა და როგორც აქ, ანარქიასთან ბრძოლაში იჩენდით ვაჟკაცობას, ისე, იმედია, გამოიჩენთ ვაჟკაცობას ბრძოლის ველზედაც. ჩვენი ძალები თქვენი წასვლით აქ, ადგილობრივათ შესუსტდენ, მაგრამ სამაგიეროთ, იქ, გარეშე მტერთან ბრძოლაში ჩვენი ძალები გაიზრდებიან და რევოლიუციის საკეთილდღეოთ მეტი სარგებლობის მოტანა შეგიძლიათ. ჩვენ კი პირობას გაძლევთ, რომ აქ სანამ ცოცხლები ვიქნებით მტერს არ გავახარებთ და თუ შევატყვეთ, რომ იქ, გარეშე მტერთან ბრძოლა მოითხოვს ჩვენს დახმარებასაც, როგორც ერთი კაცი, თქვენთან ვიქნებით საბრძოლველათ.

ერთი გვარდიელთაგანი.

**სურამი.** 15 აპრილს შესდგა მუშათა და გლეხთა საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის კრება. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: ტუსაღი ამირალოვის საქმე, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, თავდაცვითი კომიტეტი, დახმარება ჯარში გაწვეულთა ოჯახებს და მიმდინარე საქმეები. პირველი საკითხის შესახებ მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. ტოროშელიძემ, რის შემდეგ არჩეულ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი საგამომძიებლო კომისია, რომელიც მოკლე ხანში გამოარკვევს ამირალოვის შესახებ საქმეს.

ამირალოვის საქმე შემდეგში მდგომარეობს: მიმდინარე წლის 25 თებერვალს მიტინგზე პროვოკაციული გამოსვლისათვის სხვათა შორის შეპყრობილი იყო სურამელი მიხა კიკნაძე და გაგზავნილი იყო გორის ციხეში. ცოტა ხნის შემდეგ სურამში ხმა გავრცელდა, რომ კიკნაძეს თავისი განთავისუფლებლათ ფულები დაეხარჯა. ამხანაგებმა მაშინვე შეუდგნენ საქმის გამორკვევს. გამოძიებამ გამოარკვია, რომ მართლა კიკნაძის ცოლს მიუცია ამ ვაჟბატონ ამირალოვისთვის, რომელსაც მისგან მოუთხოვნია 800 მანეთი, ვითომდა იმისთვის, რომ ამირალოვი ამ ფულებს გადასცემდა ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებს. კიკნაძის ცოლს ამირალოვისათვის 800 მანეთი მართლა მიუცია და კვიტანცია ჩამოურთმევია, რომელიც საგამომძიებლო კომისიას დღეს ხელთ აქვს. კიკნაძის მეუღლეს სხვათა შორის ისიც ეთქვამს, რომ ამირალოვი ამ დღეებში სურამშიაც ჩამოვა ამხანაგებთან მოსალაპარაკებლათ. მართლაც ეს ასე მოხდა. ჩამოვიდა, მაგრამ ის მოსვლისათანავე დაპატიმრებულ იქნა და გაგზავნილი გორის ციხეში. როგორც გავიგეთ, ამირალოვს კიკნაძის მეუღლისათვის 800 მანეთი დაუბრუნებია. ამირალოვს სხვებისაგანაც მიუღია ფულები ასეთი საქმისათვის.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მამალაძე. მან მოკლეთ დაუხასიათა კრებას, თუ რა პირობებში მოხდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება და მოუწოდა კრებას მთავრობას ამაში დახმარება გაუწიოს. კრებამ ეს წინადადება მოიწონა და გადასწყვიტა 20 ამ თვისათვის მოიწვიოს მიტინგი, სადაც მასსა უფრო კარგათ გაეცნობა თანამედროვე მდგომარეობას.

მიმდინარე საქმეებში სიმრავლით პირველი ადგილი უჭირავს აგრარიულ ნიადაგზე აღმოცენებულ დავას ურთიერთ შორის. ჩარჩი გლეხობა ძველ რეჟიმში გადაწყვეტილ საქმეს დღეს ანახლებს. ის იმის ცდაშია, რომ უფრო მეტათ შეავიწროვოს საწყალი გლეხობა. ბევრი მათგანი მობილიზაციით სარგებლობს. წავიდა თუ არა ოჯახის მარჩენელი, ჩარჩს მის ცოლ-შვილზე იერიში მიაქვს და კარ-მიდამოს დანგრევით ემუქრება.

საყურადღებოა ამხ. არსენ ლომიძის მოხსენება ტყის გაჩეხვის შესახებ ჩარჩმა გლეხობამ მოწინავე ამხანაგები ფრონტისაკენ გაიგულა თუ არა, მაშინვე შეუდგენ დაუნდობლათ ტყის განადგურებას. აქ ბევრია სახაზინო და აგრეთვე კერძო მესაკუთრეთა ტყე. და ამიტომ საჭიროა სამიწათმოქმედო კომისიამ, რომელიც ანხორციელებს მიწის რეფორმებს, აქაც დროზე შეუდგეს მუშაობას, თორემ მერე გვიანღა იქნება.

Calis.

# ცნობები

პოდპორუჩიკი სილიბისტრო ჯაბას ძე კაკურია და ჯარის-კაცი სილიბისტრო ანტონის ძე ბასილია მსახურობდნენ ქალაქ ბათუმში ტყვიის-მფრქვეველთა ნაწილში; ბათუმის ოსმალთა ხელების შემდეგ მათ შესახებ მათმა მშობლებმა არაფერი იციან, დაბეჯითებით ვსთხოვ ვინც რამე იცის ზემოხსენებული პირების შესახებ მაცნობონ შემდეგი მისამართით: ქ. თფილისში ერევნის მოედანი ქალაქთა კავშირში კ. კაკურიას.

# განცხადება

ამით ვაცხადებ თფილისის საქონლის სადგურის „ერთობის“ ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ მათზე დარჩენილი ფულები დაუყონებლივ შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოცხადდება. მასთან 1 ივნისიდან საჭიროა ყველამ წინდაწინ გადაიხადოს გაზეთის ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთს ვერ მიიღებენ.

ამხ. სალმით საშა ჩიგოგიძე.

(3—1)


მარტის 20 გაიხსნა ახალი

## სამკურნალო

უღარიბესი ავათმყოფთათვის ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარ ბები უფასოთ მიიღებიან დილ. 10—12 საათ.

(24—19)

ექიმი ქალი

## რ. გ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სახებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ექიმი

## დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

## ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ. რაზიეზდის ქუჩა, № 19.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

## კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

## ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელ 15—00.

## ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან საბავშვო, საზებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

## ექიმი გ. [illegible]

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

ექიმი

## ზ. დონხინი

ყოფილ იასხისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფ ებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76 (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

## დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი

## ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.


## თფ. ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დროებითი საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი

კვირას 12 მაისს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში იწვევს თფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კრებას ყველა დარგიდან. დღის წესრიგი:

1) მომენტის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი.

2) თუ რა ზომები იქნას მიღებული, რომ ბ-ნთ ვაჭარ-მრეწველებზე გაწერილი ფული საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოთ დაუყოვნებლივ იქნას შემოტანილი.

3) შეკავშირება ქართველ ვაჭართა და მრეწველთა ერთ კავშირში, რომლის წესდებაც უკვე დამტკიცებულია.

4) არჩევა კავშირის გამგეობისა და სხვა პირთა.

რადგანაც ფრიად საყურადღებო საკითხებია გასარჩევი ბ-ნნი ვაჭარ-მრეწველნი ვალდებულნი არიან აუცილებლათ დაესწრონ კრებას. (3—1)

## თფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 1) პირველ აპრილამდი ელექტრონის ენერგიაზე ფასი რჩება ისევ 85 კაპ. 1 გილ. 2) სადგურის პატრონებს უფლება არ აქვთ ზემოხსენებულ ფასს გარდა რაიმე დამატებითი ფასი აიღონ განათებაზე, რა სახითაც არ უნდა იყოს ეს.

ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ ყოველი ზემოხსენებული წესის დარღვევა სადგურის პატრონებისაგან აცნობონ მას და შეიტანონ სათანადო განცხადება წარმოების განყოფილებაში.

2—2

ქალაქის გამგეობა.

## სავალდებულო დადგენილება.

თფილისის გუბერნიის სასურსათო გამგეობამ დაადგინა შემდეგი ნიხრი (ბითუმათ ნაყიდ საქონელზე) ქვემო ჩამოთვლილ ქსოვილებზე:

| სახელწოდება ქსოვილისა. | | ფასი | სახელწოდება ქსოვილისა. | | ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| ლანკორტი, ზანი, სლავ. ტილო | 4/4 | 1—60 | სპარსული ქისაია | | —90 |
| „ „ „ „ | 5/4 | 1—90 | ოქსფორდი | | 1—80 |
| მადაპოლამი | 4/4 | 1—90 | კრეტონი სანიფხვე | 4/4 | 1—70 |
| „ | 5/4 | 2—60 | „ „ | 5/4 | 2—10 |
| გრინსბონი | 5/4 | 2—20 | ბატისტა | 5/4 | 2—80 |
| ზეწრის ტილო | 32 გ. | 3—00 | სატინა | 4/4 | 2—40 |
| „ „ | 36 „ | 3—50 | „ | 5/4 | 4—00 |
| მიტკალი სქელი | 15 „ | 1—20 | ბუმაზეია სასარჩულე | | 2—00 |
| „ „ | 16 „ | 1—30 | „ კაშიმირი | | 2—20 |
| „ „ | 18 „ | 1—45 | „ შევიოტი | | 2—80 |
| „ „ | 20 „ | 1—60 | ტრიკო ბამბის ერთგანი | | 3—80 |
| ნარმა სქელი | 13 „ | 1—10 | „ „ ორგანი | | 6—50 |
| „ „ | 14 „ | 1—20 | მოლესკინი ერთგანი | | 4—20 |
| „ „ | 15 „ | 1—30 | „ ორგანი | | 6—50 |
| „ „ | 16 „ | 1—40 | შვედური ქსოვილი № 1 | | 3—20 |
| „ „ | 18 „ | 1—60 | „ „ სწორი კუბ. | | 5—80 |
| „ „ | 20 „ | 1—75 | მაუდი ბამბისა | 7/4 | 7—80 |
| ნარმა გათეთრებული | 15 „ | 1—40 | ბალიშის საპირე | 4/4 | 1—80 |
| „ „ | 16 „ | 1—50 | „ „ | 5/4 | 2—10 |
| „ „ | 18 „ | 1—70 | Саржа дублюръ | 4/4 | 2—10 |
| „ „ | 20 „ | 1—90 | ლასტიკი | „ | 2—60 |
| ნარმა კუბ. № 3 | | 1—30 | ცხვირსახოცი ერთი ცალი | | 1—00 |
| „ „ № 4 | | 1—75 | მანდილი „ „ | 6/4 | 2—00 |
| „ „ | 18 „ | 2—00 | „ „ „ | 7/4 | 2—75 |
| „ „ | 20 „ | 2—20 | ზეწარი ცალობით | 8/4 | 10 მ. |
| ჩითი თეთრ-მიწიანი | 4/4 „ | 1—35 | | | |
| „ ღია ფერის | 4/4 „ | 1—40 | | | |
| „ თალხი | 4/4 „ | 1—45 | | | |

შენიშვნა: 1) ზემო აღნიშნული ფასები ეხება საქონელს მოსკოვის შემდეგი ფაბრიკებისას: მოროზოვის, ცინდელის, გიუბნერის, დანილოვსკის მანუფაქტურის, კონშინის. საქონელი არა მოსკოვის ფაბრიკებისა ფასდება 10 პრ. ნაკლებ. 2) დანარჩენი საქონელი, რომელიც ზემო ჩამოთვლილი არ არის როგორც ბამბეული, ისე ტილოები, მაუდეულობა, შალეულობა და აბრეშუმეულობა, უნდა შეფარდდეს და გაიყიდოს (ბითუმათ) შემდეგი პირობების დაცვით: ა) ნასყიდობაზე პირველი ხელიდან (ფასები ფაბრიკებისა და მოსკოვის ბითუმი საწყობებისა), ემატება: 12 პრ. გადმოტანის, და 10 პრ. სავაჭრო მოგება და ხარჯები. ბ) ყველა საქონლის ნაჭერზე უნდა იყოს იარლიკი წარწერით: თუ რომელი ფაბრიკისაა, სახელწოდება საქონლისა, ნასყიდობა და გასაყიდი ფასები. 3) დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში, პასუხის გებაში მიიცემიან, მასთან თვით საქონელს შეიძლება რეკვიზიცია უყონ. 4) ეს სავალდებულო დადგენილება იცვლის და უქმდება ამგვარივე დადგენილება 9 ოქტომბრიდან 1917 წლისა, ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

თფ. გუბერნიის სასურსათო გამგეობა.

[illegible], გაზეთის შესახვევი, № 1.